

708

2000

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ

ე

ბ

ჭ

ე

ს



მეგობარი

თბილისი



საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ფონდი
Georgian fund for protection of historical and cultural Monuments

მეგობრის მეგობარი

№1 (108)



38

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი
ჟურნალი გამოდის საზოგადოებრივ საწყისებზე

2000 წელი



ველოცაჲთ მილოცვა საბრძოლველს კრეზიდენტისაბან



ბატონ ანდრია აფაქიძეს

ბატონო ანდრია,

ცოტა დაგვიანებით გილოცავთ 85 წლის იუბილეს.

ამ რამდენიმე დღის წინ მიღებულმა ბარათმაც შემახსენა ეს თარიღი. ამ ბარათში პირადული არაფერი გითხოვიათ, მეცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის პრობლემების გამო შემეხშიანეთ და ამაშიც თქვენი ცხოვრების წესს არ უღადატეთ: მხოლოდ საქვეურო საქმეზე. გარშემომყოფებზე ზრუნვა და არასოდეს პირადულზე.

თქვენი თქმისა არ იყოს, მართლაც ღმერთკაცები გყავდათ მასწავლებლად და ალბათ ამანაც ჯანაპირობა თქვენი ჩამოყალიბება პატრიოტად. ჰეშმარიტ მოქალაქედ, თვალსაჩინო მეცნიერად, მაღალწევობრივ ადამიანად.

მიხარია, რომ კვლავაც მხნეს, შემართებულს, საქმიანს გხედავთ.

მჯერა, რომ ქართული მიწა კიდევ ბევრ ისეთ საიდუმლოს ინახავს, რომელსაც თქვენი ენციკლოპედიური ცოდნა და მეცნიერული ადლო სჭირდება. ამიტომაც, კიდევ დიდხანს უნდა იცოცხლოთ, კიდევ დიდხანს უნდა ზარდოთ მოწაფეები, ქართული არქეოლოგიური სკოლის შესანიშნავი ტრადიციების ღირსეული გამგრძელებლები.

თქვენ ჯერ ისევე სჭირდებათ საქართველოს და უთოოდ დეტის ნებაც ურევია იმაში, რომ მუდამ ასეთი ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე და გამჭრიახი გონებით ემსახურებით ქვეყნისთვის ესოდენ საჭირო საქმეს.


მადლობა მინდა გითხრათ ყველაფრისთვის.

იცოცხლეთ დიდხანს, ჯანმრთელობას და მხნეობას გისურვებთ.

პატრიუსკვით.

ვეთარდ შევარდნაძე

107440 ველოცაჲთ



22116



არიან მეცნიერები რომელთა ცხოვრების ყველა მონაკვეთი, საათს წყნარად წამი დაკავშირებულია იმ მიზანთან, ოცნებასთან, რომელიც ჯერ კიდევ ჭაბუკობის დროს ჩაიდო გულში და სუნთქვასავეთ აუცილებელი გახდა და თუ ამ სურვილს სიყვარული უდევს საფუძვლად რამოდენა ძალით იესები, რა უღვეო ენერგიით იტვირთები, რა წინააღმდეგობათა დაძლევა შეგიძლია.

მხელია არქეოლოგის შრომა, უნდა მოძებნო, დაინახო ის, რაც საუკუნეთა მტკვრმა დაფარა და მიწად აქცია. მზის სინათლე უნდა აჩვენო დადუმებულსა და დამუნჯებულს, შეისწავლო, განსაზღვრო, დარწმუნდეს და სხეც დაარწმუნო იმ ასაკში რომელსაც ათასი წლები მოსდევს წყითა და დაგვიო, ხმლითა და მახვილით, საწრეთელითა თუ ფუნჯით.

ტექსტიკ არქეოლოგს მრავალი კითხვის ნიშანი თან დასდევს და მოსვენებას არ აძლევს - აქნება ევლები, იქნება მე რომ მგონია ისე არ არის, იქნებ მიმტუნა გუმანმა? რამდენი წიგნის ფურცელი უნდა გადაშალო, რამდენს უნდა შეადარო, რამდენს უნდა შეეკითხო, რომ დარწმუნდეს შენს ეარაუდში.

ბატონმა ანდრეამ თავისი ცხოვრების გზად და საეადად მცხეთა აირჩია, ის ქალაქი რომელიც ათასწლეულებს მოჰყვება სიცოცხლითა და სიყვდილით, მზითა და ღრუბლით, ღიმილითა და ცრემლით, სადაც ჩამოყალიბდა იბერთა სახელმწიფო, საიდანაც განივრცო ენა ქართული, სადაც მიიღეს ქრისტიანული სარწმუნოება და სადაც ჩადგეს ემბაზი სიკეთისა და სიყვარულის განსანათლავად და მოსდევს მეცნიერი მცხეთის ისტორიის შესწავლას სიყვარულით, შრომით და თავდადებით. მიზანი წლები, ფარდა ეხდება იმ სიბნელეს რომელიც მოსდევდა - არმაზს და ბაგინოს, წიწამურს თუ სარკინეთს, დევის ნამუხლარს თუ კოდმანს თავდადებულ შრომას, მეცნიერულ წარმატებას თანადევს დაფასება, დეაწლის აღიარება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეიცე-პრეზიდენტს დაუმომიდა ყოველდღიური საქმიანობა: თათბირები, კონფერენციები, გამოძახება, მიწვევა, სიმომზიუშები, არ იღვეა საქადალდეში ქადადეები, იქ კი ელიან პიტახშები, ეზოსმობდერები, მეფეები, იმპერატორები, ხუროთმოძღვრები, კრიოთხურონი: გამიშეით თქვე ჩემი ცოდეით სავსეებო, მომეცით საშუალება იმ მიწას შევახო ხელი რომელიც მულის და კიდევ ბუერის დანახეას მპირდება."

წლები კი მიდის, მოდის სიბერე სითუთითა და ჯანისტეხვით, ფიქრითა და მოგონებებით. არ ბერდება მხოლოდ სიყვარული, იქათქენ გიხმობს სადაც დიდებული ქართლის მთებია, სადაც ზედაზენია, შომღვიმე და სვეტიცხოველი, ჩენი ისტორიის დაუღვეელი საგანძური.

ვალერიან მაშუკელაშვილი

საქართველოს ქველთა დაცივის
საზოგადოების ფონდის გამგეობა,
მომწველია საბჭო, ჟურნალ ქველს
მეგობრის რედაქცია.



ვახტანგ ნიკოლაიშვილი, ედუარდ გავაშვილი,
გელა გიუნაშვილი, ნუგზარ ღვინტიანი

ასლაღაღმორჩინილი კმბლები ნარკმპვანის სამაროვანზე

ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე - ნარეკვათვან სხვადასხვა დროს გამოვლენილია ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები. ჯერ კიდევ ზენი საუკუნის 40-იან წლებში, გზის მშენებლობისას, აღმოჩნდა კერამიკა და ბრინჯაოს ნივთები. მათ შორის შეკვლევართა ყურადღება მიიქცია შუა ბრინჯაოს ხანის შავი ხაღუბავით მოხატულმა წითელკეციანმა თიხის ჭურჭელმა [1]. 1960 წელს მცირე მასშტაბის კვლევა-ძიება ჩაატარა მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. აკაღანდაძე). გათხრების შედეგად გამოვლინდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხული ძეგლები (2;3).

1975 წლიდან კი სისტემური არქეოლოგიური გათხრები დაიწყო მცხეთის მუდმივმოქმედმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (4;5).

1998 წელს, ბაქო-სუფსის ნავთსადენის ტრასის მშენებლობისას, 543-ე კმ-ზე დაზიანდა სამარხები. ამ ადგილას მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტმა (ხელმძღვ. აკად. ააფაქიძე) შეისწავლა 42 სამარხი, რომელთა ასაკი ზოგადად ძვ. წ. პირველი ათასწლეულის პირველი ნახევრით განისაზღვრა. ნარეკვაის სამაროვანი მდებარეობს მდ. ნარეკვაის მარჯვენა სანაპიროზე, მუხრანის ველის დასასრულს. იქ მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაადასტურა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის გორანამოსახლარები და მისი სინქრონული სამაროვანი. ნამოსახლარები სხაღტბის ქედის ჩრდილოეთ კალთებზეა განლაგებული, ხოლო სამაროვანი მუხრანის ველის დასასრულს - ნამოსახლარის სიახლოვეს მდებარეობს (4).

სამარხები თიხანარეუ კონგლომერატში გაუმართავთ, მიწის აწინდელი ზეღაპირიდან 0,5-1,5 მ-ის სიღრმეზე. ყველა სამარხი, გარდა ორი გამონაკლისისა, ინდივიდუალური იყო. სამარხები მჭიდროდ ერთმანეთის სიახლოვეს არის გამართული. ზოგ შემთხვევაში ისინი ერთ ვერტიკალში, ერთმანეთზეა განლაგებული. ეს კი შეფარდებითი ქრონოლოგიის დადგენის საშუალებას იძლევა. მიცვაღებულები მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე დაუკრძალავთ თავით ძირითადად ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით დამხრობილი.

სამარხებში აღმოჩნდა ლეგამონაცრისფროდ და მოშავოდ გამოწყვარი კერამიკა, რომელიც შემკულია ამოღარული, რელიეფური და



წნევით დატენილი ორნამენტით. დასტურდება სუფრის, სამზარეულო და სამეურნეო თიხის ჭურჭელი, მათ შორის მოჭიქულებიც, ბრინჯაოს და რკინის იარაღი, ოქროს სამკაული, ხარბტუალ ნივთები და ინსტიგნიები (შტანდარტის თავები, სარტყლები).

ახლად აღმოჩენილ ნარეკვაეის სამაროვანზე დადასტურდა ე.წ. წარწინებული მუომრის სამარხები. ამ ტიპის სამარხებისათვის დამახასიათებელია: ხარბტუალ გრავირებული სარტყლები, ცხენის აღკაზმულობის ნაწილები (ლაგშები, უშბონები), მახვილები, ხატვერები, ცულები, შუბისწვერები, ისრისწვერები, შტანდარტისთავეები, აგრეთვე ხაწესო რიტუალთან დაკავშირებული ირმის ქანდაკებები და მილაკები.

ეაქვეყნებთ ერთ-ერთი სამარხის აღწერილობას.

სამარხი 9 (1,40X1,208) ორმოსამარხია, მოყვითალო ფერის თიხანარე კონგლომერატში ჩატრილი. ნაწილობრივ დაზიანებული იყო. 13-14 წლის ბიჭი კუთხეებში მორგებადებულ ოთხკუთხა ფორმის ორმოში დაუკრძალავთ, ხარბცელზე, მარჯვენა გვერდზე, კიდურებში ხრილი, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით. სამარხი ამოხსებული იყო მოყვითალო ფერის თიხამიწით. ლანგარზე ეწყო ცხოველის ძვლები - ადაპის ნაშთი.

სამარხში აღმოჩნდა:

1(01-10-IV-81-98) (რიგითი ნომრის შემდეგ მოცემულია მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შიფრი, ნარეკვაეის უბნის შიფრი, ნივთის ნომერი, აღმოჩენის დრო, ნივთის ნომერი და სურათის ნომერი იდენტურია). ტოლნა ლეგაფრად გამომწვარი თიხისა. კეცი გადანატეხში ნაცრისფერია-ხილანარევი პირს ქვემოთ ამოღარული სარტყლები ამჩნევიან.

სიმაღლე - 12,6სმ.

2(01-10-IV-82-98) ტოლნისებური სახმისი მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა. კეცი ქვიშანარევიან. ლენტისებურფურიანი. უხეშადაა ნაძურფი.

სიმაღლე 17, პირის დმ-11, მუცლის დმ-14, ძირის დმ-8,4 სმ.

3(01-10-IV-83-98) ჩაფი მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. კეცი მოყავისფრო-ხილანარევი, ყელზე ამოღარული სარტყელები ატყვია. მოგლუეებული შიდაპირი და ზედაპირი აქვს. გარედან ემჩნევა შავი საღებავის (წერნაქის?) ნაღვენთები.

სიმაღლე - 36,6სმ. პირის დმ-13, მუცლის 30, ძირის დმ-12.

4(01-10-IV-84-98) ღერგი ლეგაფრად გამომწვარი თიხისა. კეცი ნაცრისფერია-ხილანარევი და კირქვის ჩანართებიანი. პირზე და მხარზე



ამოდარული სარტყლები ამჩნევია, რომლებიც შეესებოდა წერტილებით შედგენილი თევზიფხური ორნამენტით. მხარზე ორი ზურგჩანჭვლიანი აქვს დაძერწილი, მათ შორის კი ზოომორფული შეკრებილი. მოგლუვებული ზედაპირი აქვს.

სიმაღლე - 29, პირის დმ-22,6, მუცლის დმ-20, ძირის დმ-11,5სმ.

5(01-10-IV-85-98) დერგი-სარიტუალო ტურტკელი - მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. კეცი ქვიშანარევი - კირქვისნანართებიანი. ორმაგპირიანი. შიდაპირი დაფანჯრული აქვს. გარეპირზე შერთალი, ამოდარული სარტყლები ემჩნევა, მხარზე კი ტალღური ორნამენტია ამოკარული, ქუსლიანი, ზოომორფურიანი, ზედაპირი და შიდაპირი მოგლუვებული აქვს.

სიმაღლე - 33, გარე პირის დმ-32, შიდა პირის-16,5, მუცლის დმ-38,4სმ. ქუსლის დმ-17.

მსგავსი ტურტკელი აღმოჩენილია იქვე, 35-ე სამარხში და სამთავროს სამაროვანზე.

6(01-10-IV-86-98) ქოთანი ლეგაფრად გამომწვარი თიხისა. კეცი მოყავისფროა, სილანარევი-კირქვის ჩანართებიანი, ძლიერ დაზიანებული და დაშლილია.

7(01-10-IV-87-98) მახვილი ბრინჯაოსი, მთლიანადსხმული, თავდაფანჯრული. პატინირებულია. ქედის ორივე ნაპირზე - სიგრძეზე ორი წვეილი ღარი - შაშარი დაუყვება, რომელიც ზედა ნაწილში წიწვისებური ორნამენტით არის შემკული. ქედზე კლაკნილი ხაზით გველია გამოსახული. ვადაზე და ტარზე წიწვოვანი ორნამენტით შედგენილი ხაზები ამჩნევია.


სიგრძე - 48,4სმ, პირის სიგრძე -34,8სმ, სიგანე ვადასთან - 7,6სმ.

8(01-10-IV-88-98) ყაწიმი ბრინჯაოსი, პატინირებული. წარმოადგენს ექვს-ექვს ერთმანეთთან შეერთებულ მილაკს, რომელიც მხართან დაგვირგვინებულია სამკუთხა მოყვანილობის გარსაკრავით. მილაკები ერთმანეთთან თასმებით ყოფილა გადაბმული და ჩამკეტი გარსაკრავით შეკრული (სულ ხუთი ცალია). სიგრძე - 8,5-9,5სმ). სამხარიდღვე ყაწიმის საერთო სიგრძე - 73 სმ-ია.

9(01-10-IV-89-98) ღანგარი მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. კეცი მოყავისფრო-სილანარევი. გვერდნარეულია. ზედაპირი და შიდაპირი მოგლუვებული აქვს.

სიმაღლე - 12სმ, პირის დმ-43,4; ძირის დმ-12,5სმ.

10(01-10-IV-90-98) მახვილი ბრინჯაოსი, მთლიანადსხმული,





პატივითი. დაზიანებულია. თავდაფანჯრული. ქედზე სამი ჯვარი
 ღარი-შაშარია ამოკვეთილი. ხატეერის ტარი მრგვალი - წელზე
 შუა ნაწილში სიგრძე წიბოინია. ქუდი წარმოადგენს ნახევარდინხას,
 რომელშიც ორნივად ამოჭრილია 12 ტოლფურდა სამკუთხედი. ქედს
 თავზე აქვს მრგვალი ფანჯარა, რომელიც შუაში გადატოხრულია. შიგ
 ორ-ორი ღურსმანი - ქუქულო მჯდარა. ქედის ძირზე გამოსახულია 3-3
 ირემი, რომელთა შორის ოთხკუთხა ორნამენტი ამოკარული. ვადაზე
 ორფრინად ტეხილი - სამკუთხა, რომელიც ორნამენტი და ერთმანეთის
 პირისპირ ორი ირემია გამოსახული.

სიგრძე - 50სმ, პირის სიგრძე - 35,5; სიგანე ვადასთან - 5,4სმ.

11(01-10-IV-91-98) შილაკები ბრინჯაოსი, პატივითი.
 წარმოადგენს ბრინჯაოს ფურცლისაგან დამზადებულ შილს, რომელიც
 გადაკეცილი და მირჩილულია.

სიგრძე - 36სმ. დმ-1,5სმ.

12(01-10-IV-92-98) ხარტყელი ბრინჯაოსი, ძლიერ პატივითი და
 დაშლილი-ადგენილია. წარმოადგენს ბრინჯაოს ფურცელს, რომელზედაც
 გრავირების ხერხით გამოსახულია კომპოზიცია. ხარტყელის ბოლოები შუა
 ნაწილში გახერტილია - თასების შესაკრავად. იგი მოჩარჩოებულია
 თეზიფური ორნამენტით შევსებული ორმაგი ამოდარული ზოლით,
 რომელზედაც დასმულია წვერით შიგაპირისკენ მიმართული წერტილებით
 შევსებული სამკუთხედები. თავსა და ბოლოში დიდი ზომის
 სამკუთხედებია ამოკვეთილი. მისი შიდაპირი შევსებულია ზენური
 ხეიბით. დიდ სამკუთხედზეც დასმულია წერტილოვანი სამკუთხედები.
 მსგავსი სამკუთხედია გამოსახული ხარტყელის მარჯვენა მხარესაც.
 ცენტრალურ ნაწილში ამოკვეთილია სამფრინიანი კომპოზიცია. ზედა
 ფრინში 15 სტილიზებული ცხენია გამოსახული, ქვედა ფრინზე -
 თოთხმეტი ჯიხვი - პროფილში მარჯვნივ. შუა ფრინზე მოცემულია
 წერტილებით შევსებული რომები და ურთიერთგადამკვეთი ზოლები.
 თავსა და ბოლოში შეველად ზენური ხეიბია ამოკვეთილი. ხარტყელზე
 მარცხნიდან მარჯვნივ გამოსახულია სამკუთხედს ზევით სტილიზებული
 ფაფრიანი ცხენები. მის წინ კიდევ ორი ცხენია ამოკვეთილი. ქვედა ცხენი
 გუთანში ჩანს შებმული, რომელიც უღლით არის დაკავშირებული ზედა
 ცხენთან. ამ ცხენზე შეომარია შემჯდარი. იგი მშვილდისარს ტყორცის,
 ცენტრალური ფრინის თავზე სამი ირემია გამოხატული. მის წინ -
 გარდაცვლილი შეომარი, რომელსაც ხევი (?) კორტნის. ქვედა ნაწილში
 გამოსახულია ტახი და მშვილდისანი შეომარი. მას ისარი გაუტყორცნია.



მის წინ მშვილდისრიანი მეომარია. იგი თეძოშია დაჭრილი. შემდეგ ცხენია ამოკეუილი. ზედა ცხენზე მეომარია შემჯდარი იგი მოწინააღმდეგე მშვილდიდან ისარს ტეორცნის. ცხენს ყელზე ზანზალაკი აკიდია. უფრო წინ ისარგაურილი ცხოველია გამოსახული, ქვემოთ კი სამი მამაკაცი. ერთი მათგანი მიუთითებს ერთმანეთში მოსაუბრე ორ მამაკაცზე. ერთ-ერთს ხელში მახვილი უჭირავს. მათ წინ ორი მეომარია. ერთი, რომელსაც წელზე დიდი მახვილი აკიდია, თითქოს ნიშანს აძლევს უბრძანებს მშვილდოსანს. მას ისარი გაუტეორცნია მიზნისკენ.

სარტყელის სიგრძე - 83სმ, სიგანე - 16,5-17 სმ, სისქე - 18მ.

ზემოაღწერილის მსგავსი სარტყლები ცნობილია როგორც ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე (სამთაერო, ნარეკვაევი, მუხრანის ველი, ნაბადრები), ისე ამერკაეკასიაში და ძირითადად გაერცვლებულია რკინის ფართო ათვისების ხანაში (6,7,8). ახლად აღმოჩენილი სარტყელი სტილისტურად ყველაზე ახლოს დგას ღორეს ციხესთან შემთხვევით აღმოჩენილ სარტყელთან.

13(01-10-IV-93-98) შუბისწვერი ბრინჯაოსი, პატინირებული და დაზიანებულია. მასრამთლიანი, ქვდიანი. მასხარზე ორი რელიეფური სარტყელი ემჩნევა.

სიგრძე - 25,5, სიგანე - 5, მასრის დმ - 2,2სმ.

14(01-10-IV-94-98) ცული ბრინჯაოსი, მთლიანადსხმული - ე.წ. აღმოსავლურ - ამერკაეკასიური ტიპისა. ყუა სქელი - ტარისკენ დაქანებული აქვს. სატარე ნახერეტი ოვალური, პირი - მაღალი, სეგმანტური მოყვანილობის, ფრთები დაბალი, წაკვეთილი. ტარის ზედაპირი სამკაპა რელიეფური ზოდებით არის შემკული.

სიმაღლე - 15,2, პირის სიგანე - 11,2; ყუის სიგანე - 4,6; სატარე ხერელის სიგრძე - 5სმ, სიგანე - 3,3სმ.


15(01-10-IV-95-98) სამკაული ბრინჯაოსი, დაშზადებულია ბრინჯაოს სქელი ფურცლისაგან, რომელიც გრავირებული ყოფილა.

შემორჩენილი სიგრძე - 4,8; სიგანე - 2 სმ.

16(01-10-IV-96-98) მუჯირა (ხელშუბისპირი), მთლიანადსხმული. პატინირებულია. დაწახანგებული პირი აქვს, მასრამთლიანი. მასრაში ხის ნაშთია შემორჩენილი.

სიგრძე - 10, პირის სიგანე - 1,2სმ.

17(01-10-IV-97-98) სამაჯური ბრინჯაოსი, პატინირებული, ბოლოებგადასული, განიეკეთში მრგვალი.





დმ-6სმ, სისქე - 0,8სმ.

18(01-10-IV-98-98) სამაჯურები (საწივე რგოლები) პატივითი პატივითი სადა, ბოლოებგახსნილი - განიეკეთში შრგვალი (2ც).

დმ-5-5,3სმ, სისქე - 1,4სმ.

19(01-10-IV-99-98) ქანდაკება ირმისა, რქებდატოტილი, შვეირალი. სტილიზებულია, ფეხები ძირთან შეტყუპებულია. ზურგზე ხერელი, ხოლო კულთან ჩამოსაკიდი უნწი აქეს გაკეთებული. დაფარულია მწვანე პატინით.

სიმაღლე - 7სმ, რქებიანად - 9,5სმ, სიგრძე - 7სმ.

20(01-10-IV-100-98) ქანდაკება ირმისა, ბრინჯაოსი, პატივითი რქებდატოტილი. ზემოაღწერილის ანალოგიური. მარცხენა რქა მოტეხილი აქეს.

სიმაღლე - 6,5სმ, რქებიანად - 9,2სმ, სიგრძე - 7,5; სიგანე - 1,7სმ.

21(01-10-IV-101-98) ქანდაკება ირმისა, ბრინჯაოსი. პატივითი რქებდატოტილი. ზემოაღწერილის ანალოგიური.

სიმაღლე - 6,8; სიგრძე - 7,5; სიგანე - 1,7სმ.

22(01-10-IV-102-98) ქანდაკება ირმისა, ბრინჯაოსი, პატივითი რქებდატოტილი. ზემოაღწერილის ანალოგიური. მცირე ზომისაა.

სიმაღლე რქებიანად - 7,7; რქების გაჩეშე - 5,8სმ.

23(01-10-IV-103-98) საკინძი ბრინჯაოსი, პატივითი და დაზიანებულია. სფერულთაიანი, თავდადარული. თავთან გახერტილია.

სიგრძე - 12,6სმ.

24(01-10-IV-104-98) საკინძი ბრინჯაოსი, პატივითი სფერულთაიანი. თავთან გახერტილია.

სიგრძე - 12,6სმ.

25(01-10-IV-105-98) ბეჭედი (რგოლი) ბრინჯაოსი, პატივითი ბოლოები დაბრტყელებული და ერთმანეთზე გადასული აქეს. გარდიგარდმო ემჩნევა ამოღარული ზოლები.


დმ-2,3სმ.

26(01-10-IV-106-98) ნემსი ბრინჯაოსი, პატივითი და დაბრტყელებული და გახერტილი აქეს.

სიგრძე - 6,8სმ.

27(01-10-IV-107-98) ბალთა ბრინჯაოსი, პატივითი.

28(01-10-IV-108-98) ისრისწვერები ბრინჯაოსი, რომბისებური ფორმის,





ორმხრივწაწვეტებული.

სიგრძე - 8,2სმ.

29(01-10-IV-109-98) ისრისწვეტები ბრინჯაოსი, ბრტყელი, სამკუთხა, ორფრთიანი - ე.წ. „ნესტრისებური“. თავთან გახვრეტილია. იქვე დადასტურდა რკინის ისრისწვეტის ნატეხიც.

სიგრძე - 3,3-3,6, სიგანე - 16;2სმ.

30(01-10-IV-110-98) გარსაკრავი ბრინჯაოსი, რომბისებური მოყვანილობის.

31(01-10-IV-111-98) მძივები მოყავისფრო სარდიონის, სამკუთხა, ცულისებური - 2ც.

სიგრძე - 0,3სმ, უდიდესი სიგანე - 0,22სმ.

32(01-10-IV-112-98) მძივები მოწითალო ფერის სარდიონის. სფერული - ბორბლისებური - 7ც.

33(01-10-IV-113-98) მძივები პასტისა: ა)ციხფერი, სოლისებური, გახვრეტილია - 1ც. ბ)მწვანე, კასრისებური - 1ც. გ)ციხფერი - მილისებური - 23ც. დ)თეთრი, მილისებური - 2ც. ე)ციხფერი, ცილინდრული - 1ც. ვ)ცვარისებური, ბურთობებით შემკული - 1ც. ზ)ციხფერი, კასრისებური, ზოლებით შემკული - 3ც.

მე-9 სამარხში აღმოჩენილი იარაღი, აგრეთვე თანმხლები ინვენტარი საშუალებას იძლევა მისი თარიღი ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი პერიოდით დაეთარიღოთ (9;10;11;12;), უფრო ზუსტად კი ძე.წ. IXს.[14].

მე-9 სამარხში აღმოჩენილი ინვენტარი იმდროინდელ საზოგადოებაში შორს წასული სოციალური დიფერენციაციის მარჩენებელი უნდა იყოს, რასაც ხელსნობა - ხელოვნების მაღალი დონეც ადასტურებს.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მე-9 სამარხის გრავირებულ სარტყელზე ამოკვეთილმა გუთანში შებმულმა ცხენებმა, რომელთა შორის ერთ-ერთზე შეომარია ამხედრებული. ეს სიუჟეტი თითქოს რეალისტურად ასახავს ცნობილი სწაველლისა და მეცნიერის სტრაბონის ცნობას ქართლში (იბერიაში) 4 გენოსის (გვარის) არსებობის შესახებ (13). მესამე გვარში იგი აერთიანებს მიწისმოქმედთ და მჟომრებს. სარტყელზე გამოსახული კომპოზიცია მხატვრული ოსტატობის ნიმუშს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ნარეკეაეის ახლადაღმოჩენილი სამაროვნის ინსიგნიებით აღჭურვილი სამარხები (9,35) ეკუთვნის 10-15 წლის



მოზარდებს, რაც სახელისუფლებო სახელს შემკვიდრებობითობაზე უნდა იქნება შეტყუებულად.

მცხეთის შემოგარენში - ნარეკევის სამაროვანზე აღმოჩენილ მასალებში ახახულია ხელოვნება-ხელოსნობის განვითარების მაღალი დონე, რომელიც დამახასიათებელია წინაქალაქური პერიოდისათვის. ეს ვითარება კი სხვა ამავდროული ძეგლებთან ერთად საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ის დემოგრაფიული სიტუაცია, რომელიც არსებობდა შტკერისა და არაგვის ხერთვისში ქართვის (იბერიის) ძველ დედაქალაქ მცხეთის წარმოშობამდე, რამაც გარკვეულწილად დააჩქარა ქალაქწარმოქმნის პროცესები და ხელი შეუწყო სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

1. ნოქროპირიძე, მუხრანის ველის არქეოლოგიური ძეგლები.(XVII-VII სს) კრებ: მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, IV, თბილისი, 1955.
2. კაკლანდაძე, კრებ: სამთავროს წინანტიკური ხანის არქ. მასალები. მცხეთა, IV, არქეოლოგიური კვლევები-ბიბლის შედეგები, თბილისი, 1980.
3. ნოქროპირიძე, ნარეკევის სამაროვანი - კრებ: ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ.VII, თბილისი, 1963.
4. რდავლიანიძე, ვ.ხადრატე, ნარეკევის ნამოსახლარი და სამაროვანი, თბილისი, 1993
5. რდავლიანიძე, ნარეკევის სამაროვანი, კრებ: მცხეთა, VII, თბილისი, 1985.
6. Н. Урушадзе, Бронзовая летопись древней Грузии, ТБ., 1984.
7. მხიდაშელი, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეული რკინის ხანაში, თბილისი, 1982.
8. ნურუშაძე, რდავლიანიძე, ბრინჯაოს სარტყელი ნარეკევის სამაროვანიდან, კრებ: ძველის მეგობარი, №63, თბილისი, 1961.
9. რაბრაშიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ.წ.XIV-VI სს.), აკად. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXII, თბილისი, 1961.
10. რაბრაშიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, აკად. ს.ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ XIX-A და XXI-B, თბილისი, 1957.
11. კუციცხელაური, ბრინჯაოს კახური ტიპის სატევარი, კრებ, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ.II, 1959.
12. კუციცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ.XV-VII სს.), თბილისი, 1973-
13. თყუბუჩაშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1957.
14. რაბრაშიშვილი, საქ. მეცნიერებათა აკადემიის თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის ბიულეტენი, ტ1, თბილისი, 1997.

მცხეთის ანტიკური ხანის მინის მქივების ქიმიური შემადგენლობის შესწავლის შედეგები



მცხეთის ანტიკური ხანის სამარხებში აღმოჩენილი მძივების უმრავლესობა დამზადებულია მინისაგან. მათი ქიმიური შემადგენლობის განსაზღვრით შესაძლებელია დადგინდეს დამზადების ტექნოლოგია, ხარისხი და წარმოშობა.

მცხეთის ანტიკური ხანის სამაროვნების მინის მძივებს თავის დროზე ანალიზი გაუეთა რ.ბახტაძემ [1] და შრავალი საუბრადღებო მოსაზრებაც გამოთქვა. მას შემდეგ კი 30 წელზე მეტი გაივლიდა და უამრავი ახალი მასალა დაგროვდა. ამ ხნის მანძილზე შეიცვალა ტექნიკური აღჭურვილობა, გამოითქვა ახალი მოსაზრებანი და მოითხოვეს ხელახალ შესწავლას.

როგორც შევლევარები აღნიშნავენ, ანტიკურ ხანაში მინა ნებისმიერი შემადგენლობისაა. მრავალრიცხოვანი ანალიზი გვიჩვენებს მათი კომპონენტების მრავალგვარობას. ესაიხროს [2] დაკვირვებით, უძველესი მინები განსხვავდება ქრონოლოგიურად და გეოგრაფიული ადგილმდებარეობა სახელოსნო ცენტრებისა განსაზღვრავს მათ ქიმიურ შემადგენლობას. ბუნებაში იშვიათია კვარცის ქვიშები, მინარეების გარეშე, რომელთაგანაც მზადდება მინა. აუცილებელია მაინც ნეთიერებების მოცილება - გარეცხვა, გახეხვა, დაღუჭვა და სხვა. არქეოლოგიური მინა ძირითადად ნატრიუმ-კალციუმ-სილიციუმიანი და განსხვავდება კაშმების, გამაუფერულებელი ნეთიერებების და ტუტეების შემადგენლობით[1].

კამარახევის მინის მძივები, როგორც რ.ბახტაძე აღნიშნავს, შეიცავს ბუშტულების დიდ რაოდენობას და დაბალი ხარისხისაა, გარდა №3, ბროლისებრ გამჭვირვალე ნიმუშისა. ლურჯ მინებში შემფერავად გამოიყენებოდა კობალტი და სპილენძი, ცისფერში - სპილენძის ფანგი, ყვითელში - ტყვიის ფანგი და სხვა.

სამთავროს უფერულ მძივებში გამაუფერულებელია მანგანუმი და ტყვია. №19 ნიმუში №63 ქვეერსამარხიდან (1939 წ.) ღია მწვანე ფერისაა და შეინიშნება ტყვიის დიდი მოცულობა (7,16%) [1].

მცხეთის ანტიკური ხანის სამაროვნებზე 1975-82 წლებში აღმოჩენილი ერთფერი მინის და კიჭურის მძივები - 5 ნიმუში შესასწავლად გადაეცა კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტს. ესენია: 1) კამარახევი, მძივი ლურჯი, გამჭვირვალე მინისა, ბიკონუსური, 1ც., საინვ. №185, სამარხი №60, 2) კამარახევი, მძივი ყვითელი, გამჭვირვალე მინისა, ბიკონუსური, 1ც., საინვ. №185, სამარხი №60. 3) სამთავრო, მძივი ლურჯი, გამჭვირვალე მინისა, სფერული, 1ც., თიხის ფილისამარხი №2, საინვ. №16, 4) სამთავრო, მძივი ყვითელი კიჭურისა,



ორწილადედი, სკ. ქვაყუთი №496, სანე.№1413. 5) სვეტიცხოველი V, შიძვი
 ლურჯი, გამკვირვალე მინისა, 14 - წახნაგა, სკ. ქვაყუთი №35, სანე.№559
 საანალიზოდ ლურჯი მინების შერჩევა შემთხვევითი არ არის, ისინი
 ყოველთვის მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევდა და გამოთქმულია მომავალი
 მოსაზრება მათ შესახებ. ეს მძივები ერთმანეთისგან დიდი ქრონოლოგიური
 ინტერვალით - ძვ.წ. IV - ახ.წ. IV სს-ით არის დაშორებული - კამარახევის
 სამაროვანი თარიღდება ძვ.წ. IV -III სს-ით, სამთაეროს - III-IV სს-ით, ზოლო
 სვეტიცხოველის V-IV სს-ით.

ანალიზი ჩატარდა BCC-8 დიფრაქციურ სპექტროგრაფში ნახშირის
 ელექტრორკალში სინჯის ჩაყრის მეთოდით (ლაბორატორიის გამგე ლ.თოდრაძე).
 სასურველი იყო სილიკატური ანალიზის გაკეთებაც, რაც ვერ მოხერხდა -
 დღეისათვის ანალიზების გაკეთება გამწვანებულია გარკვეული მიზეზების გამო.

ანალიზის შედეგები მნიშვნელოვანი აღმოჩნდა და ზოგიერთ ასპექტში
 ემთხვევა რბახტაძის მიერ მიღებულ შედეგებს. ყველა ნიმუშში აღინიშნა
 ვერცხლის, კადმიუმის და ლანთანის გადიდებული რაოდენობა, რაც ადრე არ იყო
 შემჩნეული და იშვიათია. კობალტის, ტყვიის და მანგანუმის გადიდებული
 რაოდენობა აღინიშნა სამთაეროს და სვეტიცხოველის ნიმუშებში, კამარახევისაგან
 განსხვავებით (ლურჯი მძივები). ძირითადი შემფერავები უნდა იყოს მანგანუმი და
 რკინა სხვადასხვა დოზებით (ბევრი - მუქი, ცოტა - ღია). №5 ნიმუში ყვითელი
 ჰიქტურის მძივია. იგი შეიცავს დიდი რაოდენობით ტყვიას და თუთიას.
 (იხ.ტრილი). ცნობილია, რომ ჰიქტური და მინა შემაღვწელობით ერთგვაროვანია
 [3]. მოკიჭული ჰურტლისა და მინის მძივების დამზადება ჩვენში უძველესი
 დროიდანვე უნდა სცოდნოდათ, როგორც ამას ბ.კუფტინი[4] და გ.ლემლინი[5]
 ვარაუდობენ. ა.კალანდაძის[3] აზრით კი სამთაეროს მოკიჭული ჰურტლები
 ადგილობრივი ნაწარმი უნდა იყოს. ვფიქრობთ, ჰიქტური მძივის №5 ნიმუში
 ადგილობრივი წარმოებისაა.

კავკასიაში, საქართველოში, კერძოდ კი - იბერიაში მინის წარმოებას
 უძველესი დროიდან პრაქტიკული ავტორი ვარაუდობს: ფაეტრი[6], ა. კიზა[7],
 ალუკასი[8], მბეზბოროდოვი[9], ვაქსიმოვა[10], ბ.კუფტინი[4], ა.კალანდაძე[3],
 რბახტაძე[1], ნუგრელიძე[3], გ.ლემლინი[5] და სხვები, რაც იქ აღმოჩენილი
 უამრავი მძივებით დასტურდება.

საქართველო, კერძოდ კი მცხეთის შემოგარენი მდიდარია კვარცის ქვიშებით.
 მათი საბადოები ცნობილია ზემო ავჭალაში, კირკვისა - სოფტაგეთან,
 სასხოორისში, გლაუბერის პარილისა - გლდანში[11]. ჩვენში მოიპოვება მინისთვის
 საჭირო ნედლეული - კადმიუმი, სტიბიუმი, კობალტი, მანგანუმი, დარიშხანი და

22116

საქართველოს
 ენციკლოპედია
 იმპერატორი

სხვა მათგან შესაძლებელია მინის მიღება და ისინი ანტიკურ ხანაში უკვე იქნებოდა გამოყენებული - როგორც მეტალურგიის წარმოების უძველესი ტრადიციების ქვეყანაში. მეტალურგია და მინის წარმოება კი ტექნოლოგიურად მკიდრად უკავშირდებოდა ერთმანეთს [3]. მართალია კარსნი[5], ნატბურის და ნაბარების[14] მინის საწარმოების ნაშთები ფეოდალური ხანისაა, მაგრამ ანტიკური ხანის „დიდ მცხეთაში“, სხვა სახელოსნოების გვერდით, ისინიც საყარაუდებელია.

ანტიკური ხანის მინების შემადგენლობის შესწავლისას, საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა ესაირმა[2]. მინის გამაუფერებლად სურმის გამოყენება დამახასიათებელია რომელი მინებისათვის, ხოლო მანგანუმი - ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის (სირია - მესოპოტამია). იქ სურშიანი მძივები იშვიათია. როგორც რაბატაძე აღნიშნავს კობალტით, სპილენძით, ტყვიით და ანთიმონით მიღებული მინები ხშირია მესოპოტამია - სირიაში[3].

რაბატაძის და ჩვენს მიერ მიღებული ანალიზებით გამაუფერებლად გამოყენებულია მანგანუმი და უკავშირდება აღმოსავლურ მინებს - რეცეპტით.

-
1. რაბატაძე, საქართველოს უძველესი მინების შესწავლისათვის, თბ, 1964, გვ.3, 33-38.
 2. Sayre E.V. The intentional USA of Antimony and manganese, Advances in Glass Technology, part 2, New York, 1963, გვ.263-284.
 3. ნ. უგრელიძე, ადრეულ შუასაუკუნეთა მინის წარმოების ისტორიისათვის, თბ, 1967, გვ.5, 6, 95.
 4. Кухтин В. Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, გვ.275.
 5. გულმელინი, ჰიქსისაბერი წარმოების ნაშთი კარსანში, მცხეთის მახლობლად, სსმ, ტ.VII, №9, 1945.
 6. Petrie Flinders, Glass in the early ages. Journ. Society of Glass Technology, vol-X, NO.39
 7. Kisa A. Das Glass in Altermyme, 1908.
 8. Лукас А. Материалы и ремесленные производства Древнего Египта, М., 1958.
 9. Безбородов М. Химия и технология древних и средневековых стекол, 1969
 10. Максимова М. Стекланные многогранные печати найденные на территории Грузии, Моამბე, X, თბ, 1941
 11. შ. ხანაიაშვილი, მინის წარმოების ნეოლითური მასალა და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში „საქ. ინდ. ინსტიტუტის შრომები“, №1(15), გვ. 383-39.
 12. ნ. უგრელიძე, ნატბურის მინის საწარმო, მსკა, III, თბ, 1963, გვ. 61-69.

ქველის მუკობარის შეთხვევები ეგრძალებს 1996 წ. №1-ში გაეცნენ ქართველი ზურთომოდვრის ვიორვი ლეფავს გრავიკულ ფანტაზიებს ქველი კოლხეთის კოშკურა არქიტექტურაზე რედექცია ვიავაზობის ბატ ვიორვის არქიტექტურულ ძიებებს ანტიკური ხანის და შუა საუკუნეებს ქართულ არქიტექტურაზე.

ველენე კილაძე

გიორგი ლეფავას არქიტექტურული ფანტაზიები ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების ქართულ სეროთმოქვრეპეზაზე

(ანტიკური ხანი)


ვიორვი ლეფავას არქიტექტურულ ფანტაზიებში ყველაზე დიდი ადგილი ეთმობა ძიებებს ისტორიულ თემაზე. ზურთომოდვრის ინტერესი ქველი ქართული კულტურისადმი, არქიტექტურული ტრადიციებისადმი თავს იწუნს ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში. როდესაც იგი აქტიურად მონაწილეობს ექსპედიციებში, ასრულებს ანაზომებს. შემდგომში თავის შეუღლე მარიამ ჯანდიერთან ერთად ეცნობა და იკვლევს საქართველოს შთიანი რაიონების არქიტექტურას, გამოსცემს სამეცნიერო სტატიებს და წიგნებს. ქართული არქიტექტურის სიღრმისეული საწყისების ძიება ვახდევეს მთელ მის შემოქმედებას და ყველაზე თვალნათლივ სწორედ მის გრავიკულ სერიალებსა და არქიტექტურულ ფანტაზიებში ვლინდება.

ისტორიულ თემაზე შექმნილი არქიტექტურული ფანტაზიები აერთიანებს წინა ანტიკური, ანტიკური და შუა საუკუნეების ხანის ქართული არქიტექტურის თემაზე შექმნილ სერიალებს. ეს ნამუშევრები არაერთგვაროვანია რთვორც შესრულების მანერით (კალამი, ტუში, ოფორტი, აკვარელი, ფანქარი, პასტელი), ისე თემის ინტერპრეტაციის თავისუფლებით (რეკონსტრუქციადან-სრულ ფანტაზიამდე). ზურთომოდვარი აცოცხლებს წინაანტიკური, ანტიკური თუ შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის სახეს, და ეს მისთვის შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც წარსული თანამედროვე სიცოცხლეს იძენს. სწორედ ამიტომ ეს ნამუშევრები შეიძლება განვიხილოთ, როგორც არქიტექტურულ პრობლემებზე ფიქრის ასპარეზი, რომელთაგან უმთავრესი-ერთგულა არქიტექტურის სახის ძიებაა.

ვიორვი ლეფავას მიერ ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურის თემაზე შესრულებული ნამუშევრები აერთიანებს: მცხეთა-ბაგნეთის, ვანის, კოლხეთის, საიზნის და უფლისციხის თემატიკას.



მცხეთა-ბაგინეთის თემატიკა წარმოგვიდგება „დიდი მცხეთის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების, საკუთრივ ქალაქის რეკონსტრუქციის ვარიანტებით და აბსტრაქტული კომპოზიციების ნამუშევრები დახატაურებულია „მცხეთა-ბაგინეთი“. იხინი ძირითადად 1950-იანი წლებითაა დათარიღებული, თუმცა ამ თემაზე მუშაობას ხუროთმოძღვარი შემდგომ წლებშიც აგრძელებს.




სურ. 1. ანტიკური ქალაქი - არქიტექტურული ფანტაზია.

ცალკეული ძეგლების აღდგენითი ესკიზებიდან ვხვდებით: მცხეთის დამცავ კედელს, არშაზციხის სვეტებიან დარბაზს, მცხეთის მაგზოლეუმის ტიპის სამარხს, ბაზისების ფრაგმენტებს შიო-მღვიმედან, წრომის ნადარბაზვეის კანელირებულ კოლონებს, იონურ კაპიტელს სარკინეთიდან, ძაღისის აბანოს და სხვ. ეს მახალები გამოქვეყნებული იქნა ვიორგი ლეფავას წიგნში - „ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურული ძეგლები“ [1].

„მცხეთა-ბაგინეთის“ არქიტექტურულ კომპოზიციებში (შესრულების ტექნიკა განსხვავებულია: კალამი, ტუში, ფანქარი, აკვარელი, გუაში, პასტელი) წარმოდგენილია ქალაქის გვეგარებითი სტრუქტურა კომპაქტურია. დასახლება შიის ძირას მდებარეობს და ვარშემორტყმულია დამცავი მასიური კედლით, რომელსაც კოშკები აქვს დატანებული. ლანდშაფტი აძლიერებს საფორტიფიკაციო ფუნქციას-შთა, რომელიც ერთი მხრიდან ესაზღვრება, იცავს დასახლებას.



განაშენიანების ძირითად ელემენტს წარმოადგენს ორქანობიანი საცხოვრებელი სახლი (ორქანობიანი სახლების არსებობას მეცნიერები არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი კრამიტის ფილებით ადასტურებენ) [2]. დასახლების დომინანტს წარმოადგენს სატაძრო კომპლექსი, რომლის შემადგენლობაში პერიპეტრული ვეკვის შქონე ტაძრები შედიან. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტაძრების არსებობა საქართველოში მეცნიერულად არ საბუთდება და ეს მხოლოდ ხუროთმოძღვრის პიპოთეზაა. გათხრების შედეგად აღმოჩენილი კაპიტულების და სვეტების მეშვეობით ვიორვი ლევაკა ტაძრების სილუეტს აღადგენს. კაპიტულს იგი მოდულად იყენებს. ჩნდება ერთგვარი ანალოგია ძველ ბერძნულ სატაძრო კომპლექსებთან, კერძოდ



სურ. 2. მცხეთა. მავზოლეუმი

აკროპოლისთან (მთუხედავად იმისა, რომ მცხეთა-ბაგინეთის შემთხვევაში კომპლექსი ბორცვის ვაგრძელდება არ მდებარეობს). განაშენიანებაში წინა პლანზე ვხვდებით ნაგებობას, რომელიც მრავალაფსიდიანი ტაძრის ფორმას იმეორებს. მსგავსი ნაგებობების გაჩენა ანტიკურ განაშენიანებაში რაღა თქმა უნდა, ავტორის ფანტაზიითაა გამოწვეული და ისტორიულ რეალობას არ უკავშირდება. რადგანაც ასეთი ტაძრები საქართველოში მრავალი საუკუნის მერე შეიქმნა და ეს პიპოთეზა უბრალოდ არქიტექტურულ ფორმათა ძიებას შეიძლება დავეუკავშიროთ. განაშენიანების მარჯვენა ნაწილში ვხვდებით რამდენიმე კოშკურა



ნაგებობასაც. დასახლების ქუჩათა სისტემა შედგება: შთაფარი ვიქტორიანური რომელიც მეოფს შას ორ ნაწილად. იწვება ცენტრალური კარიბჭე და შიდას სატაძრო კომპლექსამდე (პროცესიების გზის ანალოგი) და ვიწრო ვასახვლელი შუკებისაგან. გამწვანება განაშენიანებაში არ ჩანს. ლეჟავას ანტიკური ქალაქის სტრუქტურა გართულებულია მისივე წინაანტიკურ დასახლებასთან შედარებით. ამკარად გამოკვეთილი ხდება სატაძრო ანსამბლი. სხვა, საზოგადოებრივი ფუნქციის მატარებელი შენობები მკვეთრად არ ჩანან. მცხეთა-ბაგინეთის დასახლება წარმოვადგება როგორც ზუროთმოძღვრის ფიქრი საქართველოსათვის აქტუალური დასახლების სახეზე.

ვანის თემატიკაზე შექმნილი არქიტექტურული ფანტაზიები აერთიანებს ცალკეულ შენობათა რეკონსტრუქციის მაგალითებს, თავისუფალ კომპოზიციებსა და ვანის მისტერების სერიალს.

კოლხეთის კულტურა მთელი თავისი სიდიადითა და მრავალფეროვნებით სწორედ ვანში წარმოვადგება და აქედან გამოიშინარე, ბუნებრივია ზუროთმოძღვრის ინტერესი.

ამ ნამუშევრებს მეტწილად სარესტავრაციო სახე აქვს, რადგანაც ზუროთმოძღვარი წლების განმავლობაში ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მუშაობდა. გვხვდება თავისუფალი კომპოზიციებიც, როგორც გავრძელება ფიქრისა საქართველოსთვის სახანაით დასახლების სტრუქტურაზე.

ვლევავას მიერ ვანის თემატიკაზე შესრულებული სარეკონსტრუქციო-სარესტავრაციო ნამუშევრებიდან უმნიშვნელოვანესია: კარიბჭის კომპლექსი, სამსხვერბლოები, მრგვალი ტაძარი, არქიტექტურული ნატეხები (ამ მასალის ნაწილი შეტანილია წიგნში ანტიკური ხანის საქართველოს ძეგლები).

კარიბჭის კომპლექსი, რომლის რეკონსტრუქციის ვარიანტს ზუროთმოძღვარი ვითავაზობს, განლაგებულია ხელოვნურად მოსწორებულ კლდოვან მოედანზე. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი სხვადასხვა ზომის და დანიშნულების თიხის ტურქული შეწირულობით, კედლის ნანგრევები, სამშენებლო ტექნიკის ამსახველი საგნები და სხვა დეტალები საშუალებას აძლევს შას აღადგინოს კომპლექსის სახე. კარიბჭის შესახველელი მოპირკეთებულია ქვის ფილებით. ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან კედელზე მიდგმულია ქვის საკუროხვეული. კარიბჭის კომპლექსში, რომელიც მშრალადაა ნაგები, კარგად გათლილი ქვები ერთმანეთთან მჭიდროდაა მორგებული. სამლოცველოსთან მისახველელი გზა რიყის ქვებითაა მოკირწყლული. აღმოსავლეთის მხრიდან კარიბჭე გამაგრებულია ნახევრადწრიული კოშკით. კოშკიდან სამხრეთის მიმართულებით მდებარეობს მართკუთხა ფორმის ნაგებობა, ორიენტირებული ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.




ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი რთული კონფიგურაციის ორნამენტირებული ქვის ფრაგმენტის ყოველმხრივმა შესწავლამ საშუალება მისცა გ.ლუფაევას მიეჩნია იგი მცირე ზომის საკურთხევლის მის მიერ საკურთხევლის თემატიკაზე შესრულებული იქნა რიგი ნახატებისა რიტუალის ჩვენებით. მოგვიანებით, მახლობლად აღმოჩნდა ელინისტური ხანის კარგად დაცული საკურთხეველი, რომელმაც დაადანტურა მკვლევართა (და მათ შორის გ.ლუფაევას) ვარაუდი და შემოთავაზებული რესტავრაციის სისწორე.

ძველი ვანის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაგებობაა მრგვალი ტაძარი. ელინიზმის ეპოქაში გვეგმაში მრგვალი საკულტო ნაგებობები ბერძნული არქიტექტურის გავლენით ფართოდ ვრცელდება აღმოსავლეთში, მკვლევართა აზრით სავარაუდოა საქართველოშიც. ძნელია იმის თქმა, თუ რის კულტს ეძღვნებოდა ტაძარი ვანში. ასეთ აღმოსავლეთში ასეთი ტაძრები კაბირებს-მეტალურჯიის მფარველთა ეძღვნებოდა, რომელთა კულტის გავრცელებაზე კოლხეთში ბერძენ-რომაელი ავტორები და ეთნოგრაფიული წყაროები მიუთითებენ [4]. გიორგი ლუფაევა აზომვიითი სამუშაოების შედეგად აღადგენს ტაძრის სახეს. დასავლეთის და ჩრდილოეთის კედლების ნანგრევები, ნაგები მშვენივრად თლილი ქვისაგან, იძლევა საშუალებას ნაგებობის ზომების განსაზღვრის. იკვეთება სურათი, რომ შართკუთხა ფუნდამენტზე აიგო მრგვალი კოშკურა ფორმის ნაგებობა შიდა დიამეტრით 10 მ. სახურავის დეტალებმა (პლაფონის მორთვისას გამოყენებული იყო გადახურვის კესონური პრინციპი) აგრეთვე ხელი შეუწყო მრგვალი ტაძრის სახის აღდგენას.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქიტექტურული ნატეხებიდან - დამაფორმებელი და საშუალო კარნიზები, ორნამენტირებული დეტალები, სხვადასხვა ორდერის კაპიტელები (სრულიად სადა ხეტიხთაგებიდან კორინთულამდე; ბაზები, სვეტის ნატეხები,- განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ცენტრალურ ტერასაზე აღმოჩენილი თეთრი კირქვისაგან გამოკვეთილი ლომისთაგები, რომელთაგან ერთი კედლის მოხართაგის, დანარჩენი ორი კი ფრონტონის დამაფორმებელია) წვიმის წყლის სადინარად განკუთვნილი სიძის ნაწილს წარმოადგენს. ერთ-ერთ ლომისთაგზე შემონახულია კონსტრუქციული ელემენტები და ცხადად ჩანს სკულპტურის კარნიზთან მიმაგრების ხერხი. არქიტექტურული დეტალების ანალიზმა საშუალება მისცა გიორგი ლუფაევას შემოეთავაზებინა მთელი რიგი ხუროთმოძღვრული ელემენტების სავარაუდო რესტავრაცია. გადახურვათა ნაშთების შესწავლის საფუძველზე მის მიერ მოცემულია კრამიტის სახურავისა და ლომისთაგებიანი კარნიზის რეკონსტრუქციის ვარიანტი.

ხუროთმოძღვრის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კაპიტლები. იგი აღადგენს შათ და იყენებს მოდულად რეკონსტრუქციისას. სწორედ კოლონაში ზედაფს იგი იმ არქიტექტურულ ელემენტს, რომელიც ახასიათებს როგორც ბერძნულ, ასე ქართულ არქიტექტურას (დედაბოძი) [5]. კაპიტელი მისთვის ქართული არქიტექტურის ენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი ზდება და იგი დაუდალავად ეძიებს ქართული კაპიტელის სახეს, რომელიც გააერთიანებდა ბერძნულ და ძველ ქართულ ტრადიციას.

ვანის მასტერების სერიალი ერთგვარად აგვირგვინებს ვანის თემატიკას. ამ კომპოზიციებში (შესრულებული მუყაოზე ფერადი ფანქრებით, პასტელებით და აკვარელით) არქიტექტურა ჟანრული, ყოფითი სცენების, რიტუალების ფონად წარმოგვიდგება და ერთგვარად თეატრალურ სახეს იძენს. ყოფა-ცხოვრებასა თუ რიტუალზე აქცენტი შეტყვევებს, რომ არქიტექტურა გ.ღეგვაფასთვის განყენებულად არ არსებობს და იგი მხოლოდ კომპლექსურად - ყოფასთან, კულტურულ ტრადიციასთან მიმართებაში გაიაზრება.



სურ. 3. ვანი.

ანტიკურ ფანტაზიებს განეკუთვნება აგრეთვე კომპოზიციები, რომელიც ავტორის მიერ დასათაურებულია კოლხეთი, კოლხეთის ნაპირებთან. ეს ის კოლხეთია, რომელსაც პერიოდტე (ძვ. წ. 485-425 წწ.) მიდიისა და ირანის ძღვევამოსილი სახელმწიფოების გვერდზე



ახსენებს და რომლის შესახებ მოგონებებით გამსჭვალულია მეფლი ანტიკური ლიტერატურა: „ვერავინ შეედრება ძალაუფლებით (არაფრთხილად) კოლხთა მეფეს. თუმცა კი იგი შორს ცხოვრობს, მაგრამ თუ მისი ძალაუფლება აღაფრთოვანებდა ვაილაშქრებს (ვკითხულობთ აპოლონიუს რიფოსელის არგონავტიკაში [6, გვ. 3] ძვ. წ. 295-215 წწ.) სტრაბონი, ახ. წ. აღ. 1 ს-ში წერს: „და მართლაც იბერია მშვენივრად დასახლებულია უმეტეს ნაწილად ქალაქებით და სოფლებით, ასე რომ იქ გვხვდება კრამიტის სახურავები და არქიტექტურის კანონების მიხედვით აშენებული საცხოვრებელი სახლები, ბაზრები და სხვა საზოგადო შენობები. სწორედ ეს კოლხეთი თავისი ლეგენდებითა და ისტორიით გლეჯავას შთაგონების წყაროდ იქცევა. ზნდება ნახატები, ზღვის ნაპირას მდებარე დასახლებებით, რომელიც ბორცვზეა შეფენილი. იქმნება თამაში კონცეფცია ანტიკური საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სატაძრო კომპლექსების და ქალაქების არსებობის შესახებ. ეს ნახატები გრაფიკული ანალიზია ბერძნული და ქართული კულტურის ურთიერთობის არქიტექტურული ტრადიციების ურთიერთშეგავლენის პრობლემათა.

კოლხეთის ქალაქს გლეჯავას ნახატებში აქვს საფორტიფიკაციო დანიშნულება, საცხოვრებელი სახლების სახურავი ორქანობიანია. განაშენიანების დომინანტს სატაძრო ანსამბლი წარმოადგენს, რომლის მსგავსს სხვა ანტიკურ კომპოზიციებშიც ვხვდებით. ქალაქი ვარშემორტყმულია მაგარი გალავნითა და თავისი სახით მცხეთა-ბაგინეთის დასახლებას წააგავს. ეს არის ქალაქი ციხე-სიმაგრე, რომელიც ერთგვარად ლეჯავასული წინაანტიკური ქალაქის-მოსინიკების დასახლების არქიტექტურულ ტრადიციებს აგრძელებს.

თუ გავაანალიზებთ გლეჯავას ანტიკური ხანის არქიტექტურულ ფანტაზიებს, დავინახავთ, რომ მათში თვალნათლივ აკვეთება ხუროთმოძღვრისული ანტიკური ქალაქის სახე - ეს არის ქალაქი - ციხე-სიმაგრე, მკვეთრად გამოიკვეთილი საფორტიფიკაციო ფუნქციით, მის გვეგმარებაში აქტიურად გამოიყენება რელიეფი (იგი ფერდობზეა შეფენილი), ქალაქგვეგმარებით სტრუქტურა - კომპაქტურია. თუ ანტიკური ქალაქის სახის ძირითად ელემენტებზე ვისაუბრებთ გამოიკვეთება-საცხოვრებელი სახლები ორქანობიანი გადახურვით, არქიტექტურული დომინანტი - სატაძრო კომპლექსი, დამცავი გალავანი და ქუჩათა ქსელი. ეს ქალაქი არის მაგალითი ელინისტური გავლენების შერწყმისა ადგილობრივ არქიტექტურულ ტრადიციასთან.

ხუროთმოძღვრის ეს ნამუშევრები წარმოგვიდგება რა როგორც ქართული არქიტექტურის ფესვების, მისი სიღრმისეული საწყისების ძიება, ამავე დროს არის გავრძელება ფიქრისა იმ არქიტექტურულ პრობლემებზე, რომელსაც გ. ლეჯავა თავის ყველა ნამუშევრებში აყენებს.

-
1. ვ. ლუკვაია. ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, თბილისი, მეცნიერება, 1979.
2. ვ. ყიფიანი, საქართველოს ანტიკური ხანის არქიტექტურა: არქიტექტურული დეტალები, თბილისი, ხელოვნება, 1993.
3. Г. Искржицкий . Рассказ о градостроительстве, М. Стройиздат, 1985
4. О. Лордкипанидзе. Античный мир и восточное Причерноморье, /Колхида, Иберия/. Тбилиси, Изд. Тбилисского Университета, 1975
5. Б. ჯანბერიძე, ქართული საბჭოთა არქიტექტურა - განვითარების გზა. თბილისი, ხელოვნება, 1971.
6. О. Лордкипанидзе. Город-Храм Колхиды, М. Наука, 1984.

ფსავ-ხეხსურათის ტრაფიციული სალოცავები

ჯვარ-ხატი - სივრცის ხე

კოსმოლოგიური (ისტორიული) წინამდებარე) პერიოდის მსოფლმხედველობა მაკრო და მიკრო კოსმოსის ბუნებისა და ადამიანის ურთიერთკავშირს ეფუძნება. ამ „სამყაროში“ მთავარი და რეალურია ის, რაც საკრალურია, და საკრალურია ის, რაც კოსმოსის ნაწილს წარმოადგენს, ანუ ექვემდებარება მას[1]. მხოლოდ საკრალურ სამყაროში დგინდება ორგანიზაციის წესები, სივრცისა და დროის სტრუქტურა. გარე სამყარო ამ შემთხვევაში ქაოსია. უმაღლეს ფასეულობას (საკრალურობის მაქსიმუმს) იძენს წერტილი სივრცესა და დროში, სადაც და როდესაც სრულდება აქტი (მსოფლიოს ცენტრი)[2]. ცენტრი - უმოკლესი მანძილი ცასა და დედამიწას, შექმნილსა და ადამიანს შორის; ცენტრი - საწყისი, დრო; რიტუალი - იძენება ქვეყნიერების ცენტრი და ირგვეა დროის მოშენტი, როცა პროფანული დროის ხანგრძლივობა წყდება და ისადგურებს „ის“ რაც იყო დასაწყისში[3].



ცენტრად აღთქმული ობიექტები: კოსმოსი, დედამიწა, ქვეყანა, ქალაქი, ტაძარი, საკურთხეველი და ა.შ., იზოფუნქციონალურობას აეღვენენ. დროით ასპექტში „დასაწყისის“ სიტუაცია დღესასწაულს ემთხვევა, რომლის დროსაც ქაოსიდან კოსმოსის წარმოშობის იდეა იქმნება[4]. მთავარი ფიგურა - მუფუკურში - კოსმოლოგიური ფუნქციის თვალსაზრისით ცენტრის სხვა წარმომადგენელთა იდენტურია (მაგალითად: მსოფლიო ხე, მსოფლიო მთა, ღუთაბა, მუფის ტახტი და სხვა)[5].

სივრცე და დრო

„Легит брус во всю Русь (სივრცე), и на том брису двенадцать гнезд, и во всяком гнезде по четыре яйца.“ (დრო),[6].(12>30; 1=12; 4>7).

„Стоит столб до небес (მანძილი მიწიდან ცამდე), на нем двенадцать гнезд, в каждом гнезде по четыре яйца, в каждом яйце по семь зародившев...“ (დრო),[7]. მანძილი=დრო (s=t).

ღმერთი - თავსდება დროში, რომელსაც აქვს საწყისი და დასასრული. ძველი აღთქმის მიხედვით, ღმერთმა სამყარო ექვსი დღის მიხედვით შექმნა და მეშვიდე დღეს დაისვენა (6+1=7)[8].





ძველი ეგვიპტური მითის (სამყაროს შექმნის შესახებ) მიხედვით... შექმნა ცა და მიწა... მან გაანადგურა წყლის ქოსი... მან შექმნა პაერთი... მან შექმნა მცენარეები, ცხოველები, ფრინველები, თევზები... მან შექმნა წინაშე... მან აღმართა სალოცავი... მათთვის მან შექმნა ბატონები... (7)[9].

შუმერულ ვერსიაში: „მას შემდეგ რაც ცა გამოვეო დედამიწას... მას შემდეგ რაც მიწა გამოვეო ცას... მას შემდეგ რაც დადგინდა ადამიანის სახელი...“ (3)[10].

ორანულ ტრადიციაში: „პირველად, დააწესა ცა... მეორედ დაამყარა მიწა... მესამედ მოიყვანა მოძრაობაში მზე- მეთხედ - მთვარე- მეთორმეტედ შექმნა დროებელი“[11]. ეველა ეს ქმნილება უფრო ძველი აღმონდა დმერთისთვის, ეიდრე მისი სიერცეში განფენილი სხეულის აღდგენა (12+1).

სხვადასხვა რელიგიების და ღმერთების კუთვნილი მსოფლიო ხეები ტოტემის განსხვავებულ რაოდენობას მოიცავენ, მაგ.: შამანური ხე შეიდტოტანია[12]; „Семичленная структура мира у индейцев зуны“[13]; შუმერული შეიდსართულიანი და სამსართულიანი ზიკურატები; ასევე ბაბილონური ხუტოტინი ხის გამოსახულებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გილგამეში (შუმერული მითების მიხედვით) ლაშქრობს მთაში, რათა მარადმწვანე კედარი მოჭრას და საკუთარი სახელი უკედაეპუსს ანუ დაეუფლოს დროს[14]. შუმერულ ხეს შეცნირები სიცოცხლის ხეს უწოდებენ[15]. კედარი - სიცოცხლის ხე - დრო, სიერციით მომენტი - მსოფლიო მთა.

ფშავი, თორმეტი თემა, დროშა, სიერცე - ფშავი, დრო - 12. ცენტრალურ ხატობებზე თორმეტი დროშიდან იქმნება ერთი (12=1). ქვეყნიერების ცენტრი - დროშა (სიცოცხლის ხე), ჯვარ-ხატი [16].



1. Топоров В.Н. О космических источниках раннеисторических описании. Труды по знаковым системам. ТГУ, Т МШ, 1973 г., ст. 113-114.
2. იქვე
3. იქვე
4. იქვე
5. იქვე
6. О структуре некоторых архаических текстов, соотносимых с концепцией Мирового дерева; Труды по знаковым системам, ТГУ, Т М, 1971 г. ст.32.
7. ძველი აღიქმა
8. იქვე
9. Топоров В.Н. О космических источниках раннеисторических описании. Труды по знаковым системам. ТГУ, Т МШ, 1973 г., ст. 116.
10. იქვე
11. О структуре некоторых архаических текстов, соотносимых с концепцией Мирового дерева; Труды по знаковым системам, ТГУ, Т М, 1971 г. ст. 18.
12. იქვე
13. იქვე
14. Афанасьева В.К. Гильгамеш и Энкиду; Эпические образы в искусстве, Москва, 1979 г. ст.94
15. იქვე
16. Марр Н. Ещё о слове „Челебия“ (К вопросу о культурном значении курдской народности в истории Передней Азии). Зап. - Вост. Отд. Русс. Общ. ТХХ, 1910, СПб, 1912, ст., 112-117.



ვალერიან ზუბბაია

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ქართული კულტურის ძეგლები აფხაზეთში

აფხაზეთი მდიდარია შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლებით. ეს ძეგლები შეტწილად ტაძრები და ეკლესიებია. ნანგრევების სახით შემორჩენილია საერო ნაგებობანი-სასახლეები (ლიხნი,თხინა,ბუდია,დაღის ხეობა).

აფხაზეთში დღემდე მოღწეული არქიტექტურული ნაგებობანი - ბუდია, ილორი, მოქეი, დრანდა, ლიხნი და სხვ. შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებია. ამაზე მიგვითითებს თითოეული ძეგლის არქიტექტურული თვალსაზრისით შესწავლა და ბევრ მათგანზე დღემდე მოღწეული სამშენებლო და სხვა ხასიათის წარწერები ქართულ ენაზე. ისინი არქიტექტურულად ისეთივეა, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში არსებული შუა საუკუნეების ძეგლები.

ამ ძეგლებიდან უმნიშვნელოაენსია ბუდიის მონასტერი-ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში. სამონასტრო კომპლექსის ცენტრშია ტაძარი, რომელიც აგებულია X-XI სს. მიჯნაზე. ახლანდელი ნაგებობა მიეკუთვნება XIII-XIV საუკუნეებს. კედლებზე შემორჩენილია XI-XIV საუკუნეების მოხატულობის ფრაგმენტები. გამოსახულია გავრთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III ეკლესიის მოდელით ხელში და ოდიშის მთაერების დადიანების წარმომადგენლები. ბუდიის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე არის ქართული წარწერა, რომელშიაც მოხსენიებულია დედოფალი მარიაში და მისი შვილი მანდარტურთუხუცესი გიორგი დადიანი. ეს წარწერა XVI საუკუნისაა.

ბუდიის ტაძრის შესახებ „ქართლის ცხოვრება“-ში (ტ. I. 1955, გვ. 181) აღნიშნულია, რომ ბაგრატ მესამემ -დიდმა მეფემან ალაშენა საყდარი ბუდიისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ შეწირა სოფელნი მრავალნი ყოველთა ხევთა და ადგილთა, განასრულა ყოველთა განგებითა, შეამკო ყოველთა სამკაულთა ეკლესია, აკუროხა და დასვა ეპისკოპოსი. უკეთუ ეინმეს ენებოს განცდად და გულისხმის საყოფად სიმაღლისათვის დიდებისა მისისა, პირველად განიცადოს



სამკაული ბედის ეკლესიისა და მისგან გულისხმა ჰყოს, რომელ არენდებულ ფილ არს სხუა მეფე მსგაესი მისი ქვეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა

როგორც აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე წერს: ასეთი ხოტბა არცერთ ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლს არ ღირსება გელათის გარდა*.

ვახუშტი ბაგრატიონი: ბედიას აღაშენა მეფემან ბაგრატ ეკლესია დიდ შეენიერ გუმბათიანი და შეამკო სიმდიდრითა - დიდითა ფრიად დასუა ეპისკოპოსი ოდიშისა და აწცა ზის და მწყემსი არს დადისწყელისა (დღევანდელი მდინარე ერისწყალი ე.წ.) და მოქეის წყლის შუათისა*.

ბედიის ტაძარში მოღვაწეობდნენ ანტონ ჯვანიძე (XVI ს.), გერმანე ჩხეტიძე (XVII ს.). ბედიაში მიტროპოლიტ გერმანე ჩხეტიძის ინიციატივით იყო გადაწერილი გულანი შეეშეთიდან ჩამოყვანილი კალიგრაფის გაბრიელ ლომსაძის მიერ. 1999 წელს შესრულდა ათასი წელი ბედიის ტაძრის აღშენებიდან.

ბედიის ტაძარში დაკრძალული ბაგრატ მესამის საფლავი ამჟამად დაკარგულია. დღემდე არ აღმოჩნდა მზრუნველი საფლავის მოძებნისათვის.

ტაძართან ერთად შემორჩენილია სასახლის ნანგრევები და სამრეკლო. ტაძარი, სასახლე, სამრეკლო მოპირკეთებულია ადგილობრივი ქვიშაქვით. (შემორჩენილია წარწერა „კალატოზთუხუცესი სიმონი“).

ამ ტაძრიდან შემორჩენილია ქართული ოქრომჭედლობის ძეგლი ოქროს ბარძიში, რომელზედაც არის 993 წლის ასომთავრული წარწერა: მეფე ბაგრატია და დედამისი გურანდუხტი ბარძიშს სწირავენ მათ მიერ აგებულ ტაძარს. 1997 წელს ბედიის ოქროს ბარძიში წარმოდგენილი იყო ბიზანტიისადმი მიძღვნილ მსოფლიო გამოფენაზე ნიუ-იორკში.

ბედია სამეგრელოში მდებარეობდა. მე-17 საუკუნის დასასრულიდან, რაც აფხაზეთმა გადმოლახეს მდინარე კოდორი და დაიპყრეს ტერიტორია კოდორიდან ენგურამდე - ბედია აფხაზეთშია. მეგრული გური ბედია - აფხაზეთმა აგუ-ბედიად შეცვალეს. მუსულმანური საფრთხის გამო მე-18 საუკუნეში ბედიის ნაგებისკოპოსო ცაიშში გადაიტანეს. მე-18 საუკუნის დასაწყისიდან ბედია სამურზაყანოს ცენტრში იყო 1840 წლამდე. საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც ბედია გალის რაიონს ეკუთვნოდა. 30-იანი წლების ბოლოს ბედია და კიდევ რამოდენიმე სოფელი გალის რაიონს ჩამოატრეს და ოჩამჩირის რაიონს მიაკუთვნეს.



მეთერთმეტე საუკუნის პირველი შოთხედის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი - ილორის ეკლესია - ერთნაირი ნაგებობაა. მოპირკეთებულია ქვიშაქვის კედლებით. ილორი მთელი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სალოცავე იყო. ეახუშტი ბაგრატიონი წერს: „არს ილორს ეკლესია წმინდა გიორგისა... უგუმბათო, მცირე, მდიდარი და შემკული. არამედ სიღლოვანობის გამო, რათა არ შეირყეს ეკლესია მოულიათ ქვა, დიდი ფრიადი ფიქალი და მის ზედა შენი არს სრულიად ეკლესია“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, 1973). აქ გათხრილ საძირკელის ძირში მართლაც აღმოჩნდა ქვათა წყობა. კედელზე და ხატზე არის ქართული წარწერები.

მე-17 საუკუნეში ილორის ეკლესია შეამკო ღვეან მეორე დადიანმა. 1736 წელს დაწვეს თურქებმა, აღადგინეს სამეგრელოს მთავრებმა. ილორი დღემდე მოქმედი ეკლესიაა.

მოქვის საკათედრო ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი გუმბათიანი ეკლესიაა. გუმბათის ყელი თორმეტწახნაგოვანია. მეფე ღეონ მესამემ (957-967) „აღადგინა ეკლესია მოქვისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ. აკურთხა და განასრულა ყოველთა განგებითა“. („ქართლის ცხოვრება“, ტ. I, 1955, გვ. 271). ეახუშტი ბაგრატიონი: „ერისის მდინარის დასავლეთით დის მოქვის მდინარე... ამ მდინარესა ზედა მთაში, არს მოქვის ეკლესია გუმბათიანი, დიდნაგები... ზის ეპისკოპოსი მწყემსი კოდორის მდინარისა და მოქვის მდინარის შორისის ადგილისა“.

აკადემიკოსი ეახტანგ ბერიძე მოქვის ტაძარს უფრო მონუმენტურად მიიჩნევს ვიდრე ანაკოფიისა და ღიხნის ტაძრებს.

ჩვენს დრომდე მოღწეულია 1300 წელს მოქვის ტაძარში გადაწერილი მდიდრულად დასურათებული მოქვის ოთხთავი. გადაწერილია ძველი ქართული ნუსხურით. როგორც ხელოვნებათმცოდნე ელენე მაჭავარიანი წერს: „მოქვის ოთხთავში 152 მინიატურაა. იგი თავისი მრავალფეროვანი ორნამენტაციით, სამინიატურო ხელოვნებით ეროვნული საგანძურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია.“ XV საუკუნეში მოქვის ტაძარში მღვდელმთავრის ექვთიმე საყვარელიძის ბრძანებით ნექტარიოზ ცინცაძის მიერ გადაწერილი იყო მეტაფრასი.

ოჩაშვილის რაიონის სოფელ ახუწაში, ჯგერდეს ჩრდილოეთით შემორჩენილია კირქვის ტუფით (ტრავერტინით) მოპირკეთებული ქიაჩის ეკლესია. ამჟ-



მად გკლესიის მარტო კედლებია დარჩენილი უსახურაოდ. ის ერთ დროს დასაუფლო საქართველოში ცნობილი სალოცავი ყოფილა. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი დიმიტრი თუმანიშვილი წერს: „ქიანის ეკლესია მოგვაგონებს წმ. გრიგოლ ხანძთელის მოწაფეების მიერ აშენებულ ნეშვის მონასტრის ტაძარს ახლანდელი ბორჯომის მახლობლად“. ეს კი აუცილებლად საგულისხმო და მრავლისმთქმელია. ქიანის ხატზე არის დეკან დადიანის (1640 წელი) წარწერა: „მოეაჭვედენეთ და შეეაჭეთ თელითა და მარგალიტითა ხატი ესე მთავარანგელოზისა და დეავსენეთ ქიანს“. ქიანის ხატი აფხაზების შემოსევის შემდეგ გადატანილ იქნა სოფელ ობუჯში (წაღენჯიხის რაიონი). ეკლესიას ეწოდება ხატის სახელი - ქიანი.

დრანდაში შემორჩენილია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. აგურისა რიყი ქვით ნაშენი ეკლესია. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „არს ეკლესია დრანდას, გუმბათიანი შეენიურა. მწყემსი კოდორსა და ანაკოფას შორისის ადგილთა. არამედ აწ აფხაზთაგან აღარა არიან ამით შინა ეპისკოპოზნი“. („ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, 1973). ვახუშტის დროისათვის უკვე მოუსწრიათ აფხაზებს დრანდისა და მოქეის საეპისკოპოზოსი გაუქმება.

სოხუმის მახლობლად მდინარე ბესლეთზე X-XI საუკუნის ერთმადიანი თაღოვანი კორძეით ნაგები ხედი ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლია. თაბარნაველმა ხიდზე წარწერის ტექსტი ასე წაიკითხა: (ასომთაერული): „ქრისტეო, მეუფეო ყოველთა ადიდე ორთავე შინა სუფევათა უძღვეელი მეფეთა მეფე.“ აფხაზებმა წარწერა მოსპეს.

ანაკოფის (დღევანდელი ახალი ათონი) ისტორიული ძეგლებიდან უნდა დაეასახლოთ სვიმონ კანანელის გუმბათიანი ეკლესია. ციტადელი ივერიის მთაზეა. შუა საუკუნეების გამაგრებათა მთელი სისტემა ანაკოფიაში კორძეითაა ნაგები. ირგვლივ მხოლოდ კორძეებია.

ლიხნი (ლიხნე) - X საუკუნის დასასრულისა და XI საუკუნის დასაწყისის ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი - ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა, მოპირკეთებული სუფთად გათლილი მოყვითალო კორძეით. ტაძრის ახლოს არის გვიანი შუა საუკუნის ქვიშაქვით ნაგები აფხაზეთის მთაერების სასახლის ნანგრევი.



ლიხნის ტაძრის კედლები მთლიანად ყოფილა მოხატული, დღემდე შემორჩენილია მხოლოდ ნაშთი.

ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა, ქართველოლოგმა მარი ბროსემ 1848 წელს აღწერა ლიხნის ტაძრის სიძველენი და კედლებიდან გადმოიწერა ძველი ქართული წარწერები. ამ წარწერებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ასომთავრულით შესრულებული წარწერა 1066 წელს კომეტის გამოჩენის შესახებ. იყო სხვა ქართული წარწერებიც, მაგრამ ეს წარწერები ამჟამად არ არსებობს. მოსაქეს აფხაზებმა, ლიხნში სოფლის განაპირას დარჩენილია ციხე-სიმაგრის კომპლექსი აბა-ანთა (VII-VIII საუკუნეებისა) ეკლესიის ნაშთით.

1957 წელს სოფელ აკაფაში (სოხუმის რაიონი) აღმოაჩინეს დარბაზული ტიპის მცირე ზომის ეკლესიის ნანგრევი, კედელზე შემორჩენილი ქართული ასომთავრული წარწერით. ძველი მე-14 საუკუნის შუა წლებითაა დათარიღებული. არქიტექტურას ახლო პარალელი აქვს XII-XIV საუკუნის ქართულ ძეგლებთან (ჭულუ-მესხეთი, სადგურო-ბორჯომის ხეობა).

გაღის რაიონის X საუკუნის წკელიკარის („წყველის კარის“) დარბაზული ტიპის ეკლესიის კედლებზე არის ასომთავრული (XI ს.) და მხედრული (XVII ს.) წარწერები. ეკლესია ამჟამად დანგრეულია, მოპირკეთებული ყოფილა კირქვით.

შესწავლას მოითხოვს ენგურის პირას წიფურიას ეკლესიები. წიფურია XVII საუკუნეში მნიშვნელოვანი საეკლესიო და საეკონომიკური ცენტრი ყოფილა. ღამბერტის ცნობით წიფურიაში ბაზრობაზე ხშირად ოცი ათასამდე კაცი იკრიბებოდა.

ბზიფის ციხე-სიმაგრესთან დღემდე მოღწეულია ბზიფის ტაძრის ნანგრევები. ტაძარი კირქვით ყოფილა მოპირკეთებული, ვარაუდობენ, რომ იგი IX საუკუნის მეორე ნახევრის ნაგებობაა.

ძველი გაგრის ეკლესია VI საუკუნეში არის აგებული, მოპირკეთებულია კირქვით, გარეგნულად ეკლესია ბაზილიკას ჰგავს.

„გაგრის ეკლესიის ხუროთმოძღვრების მჭიდრო კავშირი საქართველოს სხვა რეგიონების ხელოვნებასთან კიდევ ერთი დასტურია ჩვენი ქვეყნის სულიერ-კულტურული მთლიანობისა მისი ისტორიის ამ უძველეს ეტაპზეც კ.“ (ჭურნაღი „ჯეგარი ვაზისა“, საქართველოს საპატრიარქო, 1995, გვ. 71).



ბიჭვინთის ანსამბლი სხედასხეა დროის ნაგებობათა კომპლექსს წარმოადგენს. ბიჭვინთის ნაქალაქარიდან 300 მეტრზე დგას X ს-ში ან X ს-ში ნის დასაწყისში აგებული საეპისკოპოსო ტაძარი, ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, გუმბათიანი ეკლესია აგებულია ქვითა და აგურით.

აფხაზეთის თავდაცვითი ნაგებობანი (ციხე-სიმაგრეები: წარჩე, ანაკოფია, ბზიფი, გაგრა და სხვ.), ასევე კოშკებიც ისეა აგებული, როგორც საქართველოს სხვა რაიონებში. საშენად გამოყენებულა რიყის ქვა, კირქვა, ქვიშაქვა, ფიქალი.

ხუროთმოძღვრული ნაგებობანი XVII საუკუნამდეღია. XVII საუკუნიდან ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჭრილმა ადიღურ-ჩერქეზული მოდგმის აფსუებმა ადგილობრივი მეგრულ ენაზე მოლაპარაკე აფხაზები აფსუებად მოაქციეს. ამიტომ XVII-XVIII საუკუნეებში არ შეუშინლა არც ერთი ხუროთმოძღვრული ძეგლი, რომელიც თავისი მხატვრული მნიშვნელობით გაუტოდდებოდა შუა საუკუნეების ძეგლებს, მუსულმანიზმამიღებულმა აფხაზებმა ერთი მეჩეთიც კი ვერ ააშენეს. რა ხუროთმოძღვრული ძეგლების აგება შეეძლო აფსუებს, რომელნიც როგორც არქანჯელო ლამბერტი წერს: „ქალაქებსა და ციხეებში როდი ცხოვრობდა“. არამედ ისლით დახურულ ფაცხებში.

ამჟამად აფხაზმა სეპარატისტებმა ქალაქ სოხუმში აღმართეს ისლით დახურული ფაცხები - არქიტექტურული „აფხაზური სკოლის“ ნიმუშები. თუ როგორ „დაამშვენებს“ ევროპულ ქალაქ სოხუმს წკნელის ფაცხები, ამის გარჩევა მკითხველისათვის მიეცინდა.

გაიანე ალიბეგაშვილი - ქართული ხელოვნების მკვლევარი

გაიანე ალიბეგაშვილი (1922-1997 წწ.) ქართული ხელოვნებათმცოდნეობის, გიორგი ჩუბინაშვილის სკოლის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელია. მისმა ნაშრომებმა, რომლებიც ქართული ხელოვნების ისტორიის მნიშვნელოვან პრობლემებს ეძღვნება, მეცნიერს ამასთანავე მსოფლიო აღიარება მოუტანა.

გ. ალიბეგაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა თავიდანვე იღვლიანად წარიმართა. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობდა. ეს იყო მეორე მსოფლიო ომის მეტად მძიმე წლები. მაგრამ მიუხედავად სიძნელეებისა ლექციები სისტემატიურად და მაღალ დონეზე ტარდებოდა. V კურსზე ლექციებს მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში კითხულობდა აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი, რომლის ყურადღება გამოცდის დროს მიიქცია ნიჭიერმა ახალგაზრდამ. ბატონმა გიორგიმ მას შესთავაზა გაეწეო სპეციალური მომზადება ასპირანტურაში, რომელიც 1944 წელს უნდა გახსნილიყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ინსტიტუტთან. ასე გახდა გაიანე ალიბეგაშვილი ინსტიტუტის პირველი ასპირანტი (1944-1947 წწ.) და მის დამაარსებლის გიორგი ჩუბინაშვილის ერთ-ერთი პირველი მოწაფე. რომლის შემდგომი ცხოვრება ამ ინსტიტუტს დაუკავშირდა. ეს რიცხები - პირველი მისი სამეცნიერო მოღვაწეობის განმსაზღვრელად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ამავე ხანას ეკუთვნის გ. ალიბეგაშვილის პედაგოგიური მუშაობის დასაწყისი. მაშინ საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობდა ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალური ფაკულტეტი. ამიტომაც ხელოვნების ინსტიტუტში მუშაობის მსურველებს ერთი წლის მანძილზე უნდა გაეწეოთ სტაჟირება, რათა გამოემთვლათ თაყვის მონაცემები.

გ. ჩუბინაშვილმა თავიდანვე შეაფასა დამწყები მკვლევარის უნარი ხატონად გაეხსნა სახეითი ხელოვნების ნაწარმოების სპეციფიკა. გაემახვილებინა ყურადღება ყველაზე უფრო არსებითზე ხელოვნების





ეკოლუციის პროცესში და მას დააქალა სემინარების ჩატარება მომავალი ხელოვნებათმცოდნეებისათვის.

შემდგომში ამ მუშაობას გ. ალიბეგაშვილი აგრძელებს თბილისის სამხატვრო აკადემიაში. სადაც 1967 წლიდან გაიხსნა საპედაგოგო ფაკულტეტი ხელოვნების ისტორიის და თეორიის კათედრასთან. რომელსაც ხელმძღვანელობდა დიდი მეცნიერი და ხელოვნების დახვეწილი შემფასებელი ლევან რჩულიშვილი. აქაც გაიანე ალიბეგაშვილის, როგორც პედაგოგის, უპირველესი ამოცანა იყო ახალგაზრდობის მხატვრულ-სტილისტური ანალიზის მეთოდთან ზიარება. იმის სწავლება, თუ როგორ უნდა დაინახონ და ახსნან სახეით ხელოვნების ნაწარმოები, შეიგრძნონ მისი სპეციფიკა. სემინარებთან ერთად გ. ალიბეგაშვილს მიუქავდა რენესანსის ხელოვნების და შუა საუკუნეების ქართული მხატვრული კურსები. მისი ლექციებისათვის დამახასიათებელია ხელოვნების განვითარების პროცესების დრმა გააზრება, ცალკეული მხატვრული ინდივიდუალობის სახეიანი წარმოჩენა. ყველაფერი ეს ამზადებდა სტუდენტს დამოუკიდებელი მუშაობისთვის. ამრიგად, არ შეიძლება არ აღინიშნოს გ. ალიბეგაშვილის დამსახურება სხედასხვა თაობის ხელოვნებათმცოდნეების ჩამოყალიბებაში.

დიდია გ. ალიბეგაშვილის როლი, როგორც ახალგაზრდა ხელოვნების ისტორიკოსთა სამეცნიერო მუშაობის წარმართველისა, ამაზე ნათლად შეტყუვლებს ის ფაქტი, რომ მისი ხელმძღვანელობით დაცულია 14 საკანდიდატო დისერტაცია.

მაგრამ მთავარი მიანიშნებს მისი სამეცნიერო მოღვაწეობაა.

გ. ალიბეგაშვილმა პირველმა დაამუშავა ისტორიულ პირთა პორტრეტის პრობლემა შუა საუკუნეების ქართულ მხატვრობაში. რომელიც წამოაყენა გ. ჩუბინაშვილმა, როგორც მნიშვნელოვანი საკვლევი თემა. ეს პრობლემა განხილული გ. ალიბეგაშვილის საკანდიდატო დისერტაციაში „თამარ მეფის ოთხი პორტრეტი“ (დისერტაცია დაცულია 1950 წელს, ხოლო მონოგრაფია გამოქვეყნდა 1957 წელს).

ვარძიის, ბეთანიის, ყინწისის და ბერთუნის მოხატულობებში ჩვენამდე მოღწეული თამარ მეფის ოთხი პორტრეტის, აგრეთვე ქართული ხელოვნების აუვაების ხანის XI-XIII საუკუნეების სხვა ძეგლების ანალოგიურ გამოსახულებათა განხილვის საფუძველზე გამოედინებოდა კტიტორული პორტრეტის სპეციფიკა და მისი ადგილი მხატვრობის ანსამბლში. ამასთან დაკავშირებით განხილულია მთლიანად ამ მოხატულობათა სტილი, რაც განსაზღვრავს ნაშრომის მნიშვნელობას ქართული მხატვრობის განვითარების ასპექტში. მნიშვნელოვანია იგი თამარ მეფის ბრწყინვალე ეპოქის დახასიათების თვალსაზრისითაც.

გასათვალისწინებელია, რომ იმ დროს გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის შემსწავლელ სპეციალისტთა მომზადება, რადგანაც ხელოვნების ამ დარგს ინსტიტუტში მხოლოდ ერთადერთი, მართალია ფართო მასშტაბის და ურუდიციის მეცნიერი - თინათინ ვირსალაძე იკვლევდა. მას გვერდში ამოუდგა გ. ალიბეგაშვილი. მეცნიერი შემდგომშიაც აგრძელებს



მუშაობას საერო პორტრეტის პრობლემებზე, აფართოებს მის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით მხატვრობასთან ერთად განიხილავს კტიტორთა გამოსახულებების არქიტექტურულ სკულპტურასა და ჰეღურ ხელოვნებაში. ამის შედეგია მონოგრაფია - „საერო პორტრეტი შუა საუკუნეების მონუმენტურ მხატვრობაში“ (1979 წ.).

მიზანდასახულად შერჩეულმა პარალელურმა მასალამ, შედარებამ კტიტორულ პორტრეტთან ბიზანტიის, დასავლეთ ევროპის ქვეყნების, რუსეთის ხელოვნებაში საშუალება მისცა შეეღვევარს წარმოჩინა ქართული პორტრეტის დამახასიათებელი თავისებურებანი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ გამოკვლევებში ქართულ ხელოვნებაში ძველ, ადგილობრივ ტრადიციებთან დაკავშირებული თეოთმყოფადი ნიშნების გამოყენებას, რაც თავს იჩენს ქართველ ოსტატთა მიდრეკილებაში ხაზობრივი გამოხატულებისადმი, რომელსაც ორგანულად უკავშირდება გამოსახულებათა ემოციურობა. ავტორი თავის ადევნებს ხაზობრიობის ევოლუციას საუკუნეების მანძილზე მხატვრობასა და პლასტიკაში, იკვლევს მის წყაროებს.

ქართული ხელოვნების როგორც თეოთმყოფადი ფენომენის თავისებურებათა წარმოჩენა ინსტიტუტის კვლევით მუშაობაში ერთ - ერთი წამყვანი პრობლემაა, რაც უპირველეს ყოვლისა აისახა გ. ჩუბინაშვილის ფუნდამენტურ ნაშრომებში, ასევე მისი მოწაფეების გამოკვლევებში.

ეს საკითხი წამოიწია მინიატურული მხატვრობის შესწავლის დროსაც გამოჩენილი მკვლევარის რენე შმერლინგის მიერ ქართულ ხელნაწერთა საერთო მხატვრულ გაფორმებასა და ორნამენტურ მორთულობაში.

მუშაობას ამ მიმართულებით აგრძელებს გ. ალიბეგაშვილი, რომლის ძირითადი საკვლევი ობიექტი სიუვეტური მინიატურებია.

ფუნდამენტურ ნაშრომში „XII-XIII სს-ის დასაწყისის ქართული ხელნაწერი წიგნის დასურათების მხატვრული პრინციპები“ (1973 წ.) განხილულია სამი ლიტურგიკული ხელნაწერის შემამკობელი მინიატურები: ზაქარია ვალაშკერტელის სენაქსარი, A - 648 (1030 წ.), ზატიკი, A - 734 (XII ს.) და გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებანი A - 109 (XIII ს-ის დასაწყ.) (საქ. მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. აკეპლიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი). ეს ნაშრომი გ. ალიბეგაშვილის სადოქტორო დისერტაციაა. მეცნიერმა დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ სენაქსარის ქართული ხელნაწერი შემკული იყო მინიატურებით ბერძენი მხატვრების მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ სამონასტრო ცენტრში, შესაძლებელია ათონის მთაზე. ხაზგასმულია თვით ამ ფაქტის მნიშვნელობა, რაც მოწმობს ქართველთა მისწრაფებას შეემკოთ თავისი ხელნაწერები მინიატურებით, რომელთა მხატვრული დონე ბიზანტიის ბრწყინვალე კოდექსების გაფორმებას უტოლდება.

რაც შეეხება ზატიკისა და გრიგოლ ნაზიანზელის ქადაგებათა ხელნაწერების ასევე მაღალი ოსტატობით შესრულებულ მინიატურებს, ისინი ორგანულად იწერება ქართული მხატვრობის განვითარებაში.



რასაც თვალნათლივ ადასტურებს მათი ღრმა მხატვრულ სტილისტური, თვალსაზრისი და შესაფერავლად მოხმობილი პარალელური მამულიანო როგორც მინიატურული, ისე მონუმენტური მხატვრობიდან.

გ. აღიბეგაშვილის ეს ნაშრომი შუასაუკუნეების ხელნაწერთა დასურათების კვლევის მეთოდოლოგიის სანიმუშო მაგალითია. მინიატურები განხილულია ორგანულ კავშირში ლიტურგიკული საკითხავების ტექსტთან და მათ დამოკიდებულებაში ღუთისმსახურების პრაქტიკასთან. აქედან მომდინარეობს გამოსახულებათა შერჩევა და ხელნაწერში მათი განაწილების პრინციპი. მოცემულია აგრეთვე მინიატურების ოკონოგრაფიული და სტილისტური ანალიზი, მათი დაჯგუფება ოსტატებს შორის, ასეთი კომპლექსური კვლევის შედეგად ნათლადაა წარმოდგენილი თითოეული ამ კოდექსის დასურათების მხატვრული კონცეფცია.

საურაადებოა ზოგადი დასკვნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მინიატურული მხატვრობა უფრო მეტად იყო დამოკიდებული გარედან შემოტანილი ნიმუშებისაგან, აქაც თავს იჩენს ადგილობრივი მხატვრული ტრადიციის ნიშნები, როგორცაა ხაზის, ნახატის უპირატესი მნიშვნელობა, ნახატით მიღწეული პლასტიკური გამომსახველობა. ამ ასპექტით მოხმობილია ქართული საერო ხელნაწერი, XII ს-ის ასტრონომიული ტრაქტატი ზოდიაქოს ნიშნების სიმბოლური გამოსახულებებით. ამ, ძირითადად კონტურული ნახატით შესრულებულ მინიატურებში განსაკუთრებით თვალშისაცემია ხაზობრივი გამომსახველობა. მიდრეკილება გამოსახვის გრაფიკული ხერხებისადმი საერთოდ დამახასიათებელია აღმოსავლეთის ოსტატთა მხატვრული აზროვნებისათვის. მაგრამ ეს არ გამოირჩევა ერთნულ სპეციფიკას, რაც კარგად აჩვენა მეცნიერმა ქართული მინიატურების შედარებისას ანალოგიურ გამოსახულებებთან ისლამურ და სპარსულ მინიატურებზე.

გ. აღიბეგაშვილი შემდგომშიაც არაერთხელ უბრუნდება ეროვნული ტრადიციების მნიშვნელობას ქართული ხელოვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ 1991 წელს ბიზანტიოლოგთა XVII საერთაშორისო კონგრესზე წარმოდგენილი მოხსენება - „ბიზანტია, ქრისტიანული აღმოსავლეთი და ქართული მინიატურული ფერწერის ზოგიერთი მხატვრული თავისებურება“.

გ. აღიბეგაშვილის სახელთან არის დაკავშირებული ქართული ფერწერული ხატების კვლევა. მან პირველმა შეისწავლა მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და სეანეთის ეკლესიაში წარმოდგენილი ხატები. ეს ძეგლები დაჯგუფებულია მათი მხატვრული დონის და შესრულების მანერის მიხედვით, რის საფუძველზეც გამოყოფილია „ერთი მხრივ, ადგილობრივ ოსტატთა ნახელები, ხოლო მეორე მხრივ, „კლასიკური“ განსწავლის მხატვართა მიერ საქართველოს ცენტრალურ რაიონებში შესრულებული ნაწარმოებები. გ. აღიბეგაშვილმა პირველმა განსაზღვრა ამ ხატების შესრულების დრო, რომელიც მოიცავს ხანას X ს-დან XVII ს-ის ჩათვლით. ნაჩვენებია, რომ ხატწერა განვითარების იმავე ეტაპს გადის, როგორც მონუმენტური და მინიატურული მხატვრობა, თუმცა ამასთანავე თავისი სპეციფიკა გააჩნია.



გ. ალიბეგაშვილის გამოკვლევა ხატების შესახებ საქართველოში გამოქვეყნდა წიგნებად, 1979 და 1994 წლებში „ქართული ჰერალდიკის ფერწერული ხატები“ (ტიქსტი ჰერალდიკის ხატების შესახებ ეკუთვნის თ. საყვარელიძეს). იგი შევიდა ცალკეულ თავად უცხოეთის გამოცემაში, რომელიც სპეციალურად მიემდინა სხვადასხვა ქვეყნის შუასაუკუნოვან ხატწერას. ამრიგად, უცხოელ მეცნიერებს საშუალება მიეცათ გაეცნობოდნენ ახალ, მათთვის უცნობ მასალას. ნაშრომი XIV ს-ის ქართული ხატწერის შესანიშნავი ძეგლების - უბისის ორი ტრიტიქონის შესახებ გამოქვეყნებულია კურტ ვაიცმანის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში.

მეცნიერის ინტერესთა სფეროში შედის ზემო სვანეთის კედლის მხატვრობის ძეგლები. შუა საუკუნეების გამოჩენილი ოსტატის შემოქმედების დახასიათება მოცემულია მონოგრაფიაში „მხატვარ თედორეს მოხატულობანი ზემო სვანეთში“ (1966 წ.), ხოლო 1983 წელს გამოცემულ წიგნში განხილულია სვანეთის ფერწერული სკოლის თავისებურებანი და მისი ადგილი საქართველოს კედლის მხატვრობაში (ორივე ნაშრომი შესრულებულია თანავეტორებთან - ნ. აღადაშვილთან და ა. ვოლსკაიასთან ერთად).

გ. ალიბეგაშვილის მიერ დამუშავებული შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების მნიშვნელოვანი პრობლემები გამოქვეყნებულია აგრეთვე ცალკე სტატიებად და წარმოდგენილი იყო მოხსენებების სახით როგორც ინსტიტუტის სამეცნიერო სესიებზე, ისე სამეცნიერო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე იტალიაში, საბერძნეთში, რუმინეთში, რუსეთში. ისინი ყოველთვის მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევდნენ: ამის დასტურია ის მადალი შეფასება, რომლითაც გამოეხმაურნენ გაიანე ალიბეგაშვილის ნაშრომებს ბიზანტიური ხელოვნების ისეთი სახელგანთქმული მკვლევარანი, როგორც კურტ ვაიცმანი, სიუზი დიუფრენი და ექტორ ლაზარევი.

50-იან წლებში ინსტიტუტის თემატიკაში გარკვეული ცვლილება ხდება. შუა საუკუნეების ხელოვნების პარალელურად იწყება თანამედროვე ქართული ხელოვნების, მაშინდელი ტერმინოლოგიით საბჭოთა ხელოვნების შესწავლა. მასალის შეგროვებასა და მის დამუშავებაში გ. ჯუბინაშვილმა უფროს თაობასთან ერთად ჩართო ახალგაზრდა თანამშრომლები. მათ შორის გ. ალიბეგაშვილი. ეს ძალიან რთული პერიოდი იყო, როდესაც როგორც ხელოვნების ცალკეულ მოღვაწეებს, მეცნიერებს, ასევე მთლიანად კვლევით ინსტიტუტებს სხვადასხვა იდეოლოგიურ გადახრებში ადანაშაულებდნენ. კერძოდ ხელოვნების ინსტიტუტის და პერსონალურად გ. ჯუბინაშვილის წინააღმდეგ გაჩაღებული იყო კამპანია უსაფუძვლო ბრალდებით კოსმოპოლიტიზმსა და ფორმალიზმში. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ წლებში გ. ჯუბინაშვილმა ინსტიტუტის სამეცნიერო გეგმაში შეიტანა დაეით კაკაბაძის შემოქმედება. ეს იმ დროისთვის გაბედული ნაბიჯი იყო, რადგანაც დ. კაკაბაძე ფორმალისტ მხატვარად იყო გამოცხადებული.

გ. ალიბეგაშვილმა ამ თემის დამუშავებისას მისთვის ჩვეული პრინციპულობა და ობიექტურობა გამოიჩინა. მონოგრაფიაში, რომელიც



1958 წელს გამოქვეყნდა, მკაფიოდ არის ნაჩვენები ამ უაღრესად საინტერესო მხატვრის ინდივიდუალობა, მისი შემოქმედების უფროსი დიპაზონი და ეროვნული ხასიათი. აღსანიშნავია ისიც, რომ ბუნდებიერება ხვდა წილად უშუალო ურთიერთობა ქონოდა დავით კაკაბაძესთან, რომლის მიერ საუბრებისას გამოთქმულმა მოსაზრებებმა ხელოვნების ზოგად საკითხებზე გასაღები მისცა მკვლევარს მხატვრის შემოქმედებითი ამოცანების გახსნისათვის.

ბ. ალიბეგაშვილი შემდგომშიაც განაგრძობს მუშაობას დ. კაკაბაძის შემოქმედებაზე. ამჯერად მას შეეძლო უფრო თავისუფლად გამოეთქვა თავისი შეხედულება მხატვარზე, რომელმაც უკვე დამსახურებულად დაიმკვიდრა მოწინავე ადგილი ქართულ ხელოვნებაში. ავტორის ძირითადი დებულება, რომ მხატვრის ინდივიდუალობა იხსნება უაღრესად თანამედროვე და ღრმად ეროვნულ ფორმათა სინთეზში, განსაზღვრავს მის შემოქმედებით დახასიათებას. დ. კაკაბაძის აბსტრაქტულ ნამუშევართა განხილვისას მკვლევარი ხაზს უსვამს მათში დეკორატიულობის და სიერცობრივობის ამოცანების თავისებურ გადაწყვეტას. აღნიშნულია, რომ 20-იანი წლების დეკორატიული კომპოზიციების სერიებში, რომელიც უსასრულო კოსმიური სიერცის შთაბეჭდილებას ქმნის, მხატვარი წინ უსწრებს თავის ეპოქას. დავით კაკაბაძისთვის დამახასიათებელი ანალიტიკური აზროვნება, მისწრაფება გრანდიოზული მასშტაბების განზოგადებისაკენ განსაზღვრავდა მის ინტერესს ხელოვნების ყველაზე უფრო თანამედროვე პრობლემებისადმი.

ბ. ალიბეგაშვილს ეკუთვნის აგრეთვე ნაშრომები სხვა თვალსაჩინო ქართველ მხატვართა შესახებ: ლ. გუდიაშვილი, უ. ჯაფარიძე, ს. ქობულაძე, პ. ოცხელი, ს. ვირსალაძე, ნ. ფაღვანიშვილი.

დავით ბ. ალიბეგაშვილის დამსახურება ქართული სცენოგრაფიის კვლევის საქმეში. მან პირველმა წარმოადგინა საქართველოში თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების განვითარების სურათი, დაწყებული მისი როგორც ხელოვნების როგორც დამოუკიდებელი დარგის ჩამოყალიბებიდან 20-იან წლებში 1966 წლამდე. ეს სურათი მოცემულია თბილისის მთავარი დრამატული თეატრების - შოთა რუსთაველის და კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრების მაგალითზე.

ამ დარგშიც აღსანიშნავია საკითხის სინთეზური კვლევა. ყოველი დადგმის მხატვრული გაფორმება განხილულია ნაწარმოების დრამატურგისთან, სპექტაკლის რეჟისორულ ჩანაფიქრთან ორგანულ კავშირში, თეატრალური ხელოვნების ხასიათის, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით. ხაზგასმულია კოტე მარჯანიშვილის და სანდრო ახმეტელის როლი ქართული თეატრის და კერძოდ, თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების როგორც თავისებური მხატვრული ფენომენის ფორმირებაში. ქართული სცენოგრაფიის შესწავლა მოცემულია სხვა ქვეყნების, სახელდობრ რუსეთის, გერმანიის თეატრალურ ხელოვნებაში დასმულ ამოცანებთან დაკავშირებით.

ბ. ალიბეგაშვილი შემდგომშიაც ეხმარებოდა ქართული თეატრალური ხელოვნების საყურადღებო მოვლენებს.



მას აინტერესებდა ისეთი საკითხიც, როგორცაა მხატვრის როლი კინოში, რომელსაც შეკლევარმა არა ერთი წერილი მიუძღვნა. მათ შორისაა: „კინოფილმის გამომსახველობითი მხარის გამო“ (1965 წ.) - სახელით ხელოვნების ძეგლების განხილვა კინემატოგრაფიულ საშუალებებით“ (1966 წ.) და სხვა. საფიქრებელია, რომ კინოხელოვნებით დაინტერესებაში გარკვეული წვლილი შეიტანა მისმა მწუფლემ. ცნობილმა კინორეჟისორმა კონსტანტინე პიპინაშვილმა.

ბ. ალიბეგაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ნათლად ჩანს მეცნიერის ინტერესთა მრავალმხრივობა და კვლევის ფართო დიაპაზონი: შუა საუკუნეების მონუმენტური და მინიატურული მხატვრობა, ხატწერა, რელიეფი, თანამედროვე სახელით ხელოვნების სხვადასხვა დარგები - ფერწერა, გრაფიკა, თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნება.

მეცნიერის გამოკვლევები მაღალი დონის ნიმუშებია მხატვრულ-სტილისტური ანალიზისა, რომლის მეთოდსაც იგი ოსტატურად ფლობდა. მის კონცეფციაში მთავარი ფორმისა და შინაარსის ერთიანობაა, ამიტომაც მხატვრული ნაწარმოების სულიერი და ესთეტიკური ღირებულებანი მთელი სისაესით წარმოდგება ხოლმე მკითხველის წინაშე.

ბ. ალიბეგაშვილის ნაშრომების ტექსტი სცილდება ხელოვნების ტრადიციული მიმოხილვის საზღვრებს, არ იფარგლება მხოლოდ ფაქტების აღწუსებით და მათი დახასიათებით, არამედ მათ საფუძველზე მოცემულია დიდი მასშტაბის განზოგადებები, რაც განმტკიცებულია მოფიქრებულად და მიზანდასახულად შერჩეული შესაძარბეველი მასალით. ავტორის ფორმულირებები ძალიან ზუსტი, ამასთანავე ტყეადი და ბევრის მომცველია და მკაფიოდ გამოხატავს მოვლენათა არსს. ქართული ხელოვნება ყოველთვის განხილულია განვითარების პროცესში, რომელიც ხელოვნების ისტორიის ზოგად კონტექსტშია გააზრებული.

ბ. ალიბეგაშვილმა, როგორც მეცნიერმა, მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

Abstract

Andria Apakidze Is 85 Year old

Mr. Andria Apakidze, a well-known Georgian scholar, Vice President of the Academy of Sciences of Georgia is a person whose anniversary is celebrated this year. Editorial board of the magazine "Dzeglis megobari" congratulates its member this remarkable event. Published is a congratulation text of Mr. Eduard Shevardnadze, President of Georgia.

**Vakhtang Nikolaishvili, Eduard Gavasheli,
Gela Giunashvili, Nugzar Glonti**

NEWLY DISCOVERED MONUMENTS IN NOKALAKEVI NECROPOLIS

42 graves dating in general to the 1st half of 1st Mill. BC were studied in 1998 on the territory of historic Great Mtskheta by the Institute of Mtskheta Archaeology (headed by acad. Andria Apakidze)

Authors are focused on the tomb # 9 (1,40X1,20 m.) in which 13-14 year old boy was buried. Of special interest is a ritual belt-insignia with a triple-frieze composition. Bronze figurine of a deer, bracelets, rings and other objects testify to the high level of craftsmanship, as well as social differentiation of the society.

Abundance of monuments unearthed on the necropolis makes it possible to gain knowledge on the demographic situation before the emergence of Mtskheta – ancient capital of Iberia and preconditions, which had to certain extent contributed to the establishment of statehood.

Dodo Lekashvili

RESULT OF SURVERY OF THE CHEMICAL COMPOSITION OF THE ANTIQUE
GLASS NECKLASES FROM MTSKHETA

The author is concerned with the chemical analysis of glass necklaces unearthed in the antique graves in the environs of Mtskheta. A proposition is put forward that since environs of Mtskheta are rich in quartz sands and other saw material, necessary for the glass production, it is quite possible that alongside other workshops, glass producing workshops did also function in "Great Mtskheta".

The author emphasises the fact that historically Georgia is known as a country of oldest traditions in metallurgy, while the former and glass production are closely connected by their technology.



Elene Kiladze

ARCHITECTURAL FANTASIES OF GEORGE LEZHAVA ON THE ANTIQUE GEORGIAN ARCHITECTURE

Famous Georgian architect George Lezhava, apart from modern architecture, worked a lot on the problem of tracing roots of national architecture. The article discusses sketches of oldest antique city-sides of Georgia: Mtskheta-bagineti, Vani, Uplistsikhe, etc. This is an attempt of creative reconstruction based on historical and archaeological material, aimed at reproducing architectural aspect of the Antique Georgian cities.

Irma Kapanadze

“JVAR-KHATI” – TREE OF LIFE

public-religious center in Pshav-Khevsureti are named “Jvar-Khati”. Acad. N. marr, bared on the analysis of the linguistic data, had shown that “Jvari” meant “a beam” and “Khati” – “khach” – “a tree”, being linked with cosmic and astral beliefs. Major ritual object in the religious ceremonial of eastern Georgian highlanders – a flag is a symbol of tree Of life.

Valerian Zukhbaia

MONUMENTS OF GEORGIAN CULTURE IN ABKHAZIA

The author, academician of Academy of Sciences of Abkhazia, displaced from Abkhazia, gives a general survey of monuments preserved up to now in the historical province of Georgia – Abkhazieti: Bedia (10th-11th cc.), Ilori (11th c.), Mokvi (10th c.), Likhe (10th-11th cc.) churches and other monuments.

The author state, that these monuments are indivisible part of common Georgian culture. No significant monuments were erected in Abkhazia after the 17th c., when Apsuas of Adigen-Cherkez origin settled there.

Natela Aladashvili, Aneli Volskaya

GAYANE ALIBEGASHVILI – RESEARCHER OF GEORGIAN ART

G. alibegashvili (1922-1997) – Doctor of Art History, Professor – is a renowned representative of G. Chubinashvili art historical school. She was a scholar of vast diapason, her research covering various branches of the medieval and modern Georgian art.

Works by the scholar, in which Georgian art is discussed in a wide context, in comparison with the art of various countries, had brought her world-wide recognition.

From 1967 she was involved in educational work at Tbilisi State Academy of Fine Arts.

სარჩევი

1. ვულოცავთ ანდრია აფაქიძე იუბილარია	3
2. ვახტანგ ნიკოლაიშვილი, ედუარდ გავაშელი, გელა გიუნაშვილი, ნუგზარ ღლონტი ახლადამოწონილი ძეგლები ნარეკვეის სამაროვანზე	5
3. დოდო დეკაშვილი მცხეთის ანტიკური ხანის მინის მძივების ქიმიური შემაღველობის შესწავლის შედეგები	16
4. ვლენე კილაძე გიორგი დევეას არქიტექტურული ფანტაზიები ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაზე (ანტიკური ხანა)	19
5. ირმა კაპანაძე ჯვარ-ხატი - სიციცხლის ხე	27
6. ვალერიან ზუხბაია ქართული კულტურის ძეგლები აფხაზეთში	29
7. ნათელა აღადაშვილი, ანელი ვოლსკაია გაიანე აღიბეგაშვილი - ქართული ხელოვნების მკვლევარი	35
8. ანოტაციები ინგლისურად	42

98 93 77

თბილისი, შავთელის 5/7

ტელ. 98 36 31

ფაქსი 98 96 58

საქართველოს
საინჟინერო-ტექნიკური



ასლბადავლები აპარატურა
პრინტერები
ფაქსები
კომპიუტერები
საოფისო ავეჯი
ლიზაინი

XEROX & HEWLETT PACKARD

ოფიციალური წარმომადგენელი